



# მორგასური

№ 7

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 7

1910 წ. 18 აპრილიდან ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სალიტერატურო ყოველკვირეული გაზეთი

## „მორგასური“

გაზეთის ფასი—ერთი წლით—5 მან. ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—1 მან. შაურა. ცალკე ნომერი ორი შაური. ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე რამდენიმე ნომერზე, ორ-ორი შაურის ანვარიშით, არა ნაკლებ ხუთისა.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Типографія „Печатное Дѣло“, Александрѹ Сардионовичѹ Ландіа, (Вельяминовская, 6).

რედაქტორ-გამომცემელი კ. თ. შკლავაძე.

**შინაარსი:** ნოქართა კითხვა სახელმწიფო დუმაში. — შინაური მიმოხილვა, **ნარისა.** — სახელოსნოებში მომუშავეთა ნორმალური დასვენება **Викторъ-ისა.** — რუსეთი. — დევნილი მოთხრობა, **ვალეკოსი.** — ჩემი ყვევილი, ლექსი, **ბ. ჩხიკვაძისა.** — მუშათა ცხოვრება. — ეკონომიური ცხოვრების განვითარება, **შვარცისა.** — სოციალიზმი და ანარქიზმი, დასასრული, **რაიხესბერგისა.**

### ნოქართა კითხვა

### სახელმწიფო დუმაში.

სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავეთა საკითხის მოწესრიგება პირველათ აფიქრებინა მშროთველ წრეებს დუმის არჩევნებში გამარჯვების სურვილით. 1905 წლ. 11 დეკემბრის კანონმა ფართო საარჩევნო უფლებები მიანიჭა ნოქრებს. კანონის ავტორებს ეკონათ, რომ ნოქრები ძველებურათ გონებრივ სიბნელეში იმყოფებოდნ და ანგარიშ-მიუტყელოთ მხათ იყვნ, „ქეშმარიტ რუსთათვის“ დაეჭირათ მხარი მათ საგმირო საქმეებში. მაგრამ მოსტყუედნ. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ძირიანათ შეარყია არამც თუ თითო ოროლა ნოქრის, მთელი ნოქართა მ.ს.სის მსოფლომხედველობა. მათ სცადეს დაემსხვრიათ ძველი პატრიარქალობის ბორკილები, ცოტათ თუ ბევრათ შეიგნეს, რომ ისინიც ადამიანები არიან, რომ მათაც აქვთ უფლება იარსებონ ადამიანურათ, იწენიეს, რას ნიშნავს ბრძოლა თავისი უფლებათათვის.

სატახტო ქალაქებში ნოქრების ხმამ გადასწყვიტა პირველი დუმის არჩევნების ბედ-იღბალი. ოპოზიციამ ბრწყინვალეტ გაიარჯვა. მას შემდეგ კიდევ უფრო მონდომეს მათი ხმებისმიმხრობა.

დიდი ხნის გამოცდილებამ დაანახვა ყველას, რომ სამრეწველო პროლეტარიატის მოტყუება და გადაბირება წვრილმანი რეფორმებით, დაპირებით, და სხვა-და-სხვა ნაირი „მზრუნველობით“ შეუძლებელია. მათი დამორჩილება მხოლოდ ძალით შეიძლება. მხოლოდ სენატის განმარტებებმა და ცნობილმა 3 იენისის კანონმა უზრუნველყვეს არჩევნები, რომ სამრეწველო პროლეტარიატს მისთვის რაიმე ვნება არ მიეყენებია.

სავაჭრო და სახელოსნო პროლეტარიატის სული კვეთება კი არ იყო ასე ნათლათ გამორკვეული. მათი მიმხრობის იმედი კიდევ არსებობდა. 15 ნოემბერს, 1906 წელს 87 მუხლის ძალით გამოვიდა რამდენიმე განსაკუთრებული გარემოებით გამოწვეული კანონი, რომლებმაც გლეხებს სანადელო მიწების დაგირავების უფლება, ხელოსნებსა და ნოქრებს „ნორმალური დასვენება“ უთავაზეს. განსაკუთრებული მდგომარეობა ის იყო, რომ მეორე დუმის არჩევნები კარზე იყო მომდგარი და სურდათ გლეხების, ხელოსნების და ნოქრების ხვა ოპოზიციისათვის ჩამოემორებინათ. ნორმალური დასვენება კი იმაში მდგომარეობდა, რომ დადგენილი იყო ზოგად ფრაზებით, როდის უნდა იღებოდეს და იკეტებოდეს სახელოსნო და სავაჭრო დაწესებულებები. დაწვრილებით კითხვის შემუშავება მინდობილი ქონდა „შერეულ კომისიას“, რომელშიაც თანაბრათ შედიოდნ თვითმართველობის (ან და აღმინისტრაციის) ხაზინების და მოსამსახურეების წარმომადგენლები.

თუმცა თავის-თავათ ეს კანონები საკმაოთ ვერ „დაიცადნ შრომას“, მათი მნიშვნელობა ნოქრებისა და სახელოსნოს მუშებისთვის მაინც დიდი იყო. ერთი მხრით პრინციპიალურათ გადაწყდა, რომ ხელოსნებისა და ნოქრების განუსახლვრელი ექსპლოატაცია მოსათმენი არ არისო, მეორე მხრით მოსამსახურეების წარმომადგენლობა „შერეულ კომისიაში“ საუკეთესო იარაღად გადაიქცა სავაჭრო და სახელოსნო პროლეტარიატის შესაკავშირებლათ. რამდენათაც იზრდებოდა ნოქრებისა და ხელოსან მუშების კავშირები და ვითარდებოდა მათი პოლიტიკური შეგნება, იძენათ უფრო ადვილდებოდა შერეულ კომისიების მუშების სასარგებლოთ გამოყენება, მათ შემწეობით მდგომარეობის ცოტათ თუ ბევრათ გაუმჯობესობა. ბევრგან შემოდებულ-იქნა 8 საათის სამუშაო დღე



და სავალდებულო გახდა უქმე დღეებში დასვენება. პირიქით, რამდენადაც ძლიერდებოდა რეაქცია, ირღვეოდა კავშირები და იკიდებდა ფეხს პოლიტიკური ინდიფერენტობის, შერყულ კომისიებში გამაგრებული პოზიციების მეოხებით მოპოვებული უფლებები ერთი მეორეზე იკარგებოდა.

„ნორმალური დასვენების“ შესახებ გამოცემულ კანონების ავტორთა სურვილი იყო, დაერწმუნებინათ ნოქრები და ხელოსნები, რომ პოლიტიკასა და ეკონომიურ კითხვებს შორის არაფერი საერთო არ არის, მათ უნდა ჩამოეშორებინათ ნოქრები პოლიტიკისთვის, მიექცია მათი ყურადღება ეკონომიური კითხვებისთვის, მაგრამ შეუქლებელი ამ კანონებმაც ვერ შესძლეს. პირიქით, ვისაც გაგება შეუძლია, ყველაზე გაიგო, რომ ეკონომიურსა და პოლიტიკურ კითხვებს შუა განუყრელი კავშირი არსებობს. პოლიტიკური და ეკონომიური გაუმჯობესობა თანამგზავრები არიან. ამის გამო კანონის ავტორები მოსტყუდნენ. ხელოსნებმა და ნოქრებმა არჩევნებზე თავისი საკუთარი გზით წასვლა არჩიეს.

სამ წელიწად-ნახევარზე მეტი გავიდა, რაც ეს კანონები არა-ჩვეულებრივი გზით იქნა გატარებული და მთავრობამ ძლივს გაბედა ერთი მათგანის—სავაქრო დაწესებულებებში მომუშავეთა შესახებ,—დღეში შეტანა. არჩევნებმა ორჯერ დაარწმუნეს მთავრობა, რომ მას ნოქრების იმედი არ უნდა ქონდეს. ამიტომაც გულგრილათ უცქეროდა, როცა კანონპროექტს ამხინჯებდნენ: როცა ზოგ დაწესებულებებში სამუშაო დღე 10 საათიდან 15-მდე აიყვანეს, დაწესებულებების მთელ რიგს უქმე დღეებში დასვენების უფლება მოუსპეს, ხაზინებს უფლება მისცეს „ზედმეტ ფასში“ ზედმეტი ამუშაოს ნოქრები, უბედურ შემთხვევაში იმდენი ამუშაოს, რამდენიც საჭირო იქნება.

დღეში არამც თუ ტრუდოვიკები და კადეტები, ცენტრი და ხან-და-ხან მემარჯვენეებიც კი, ალბათ მეოთხე დღის არჩევნების მოლოდინში, ცდილობდნენ ნოქრებისათვის თავი კეთილის-მყოფელად მოეჩვენებინათ. ამიტომ კენჭის ყრის დროს სხვა-და-სხვა გვარი კომბინაციები ხდებოდა. განსაკუთრებით აირა საქმე, როცა კითხვა უქმე დღეებში დასვენებაზე მიდგა. მთავრობის კანონპროექტით დასვენება სავალდებულო იყო სამ დღეს, სოც.-დემოკრატები თხოულობდნენ, რომ სამუშაო დღეები ყოფილიყო წელიწადში არა უმეტეს 300. ბოლოს ოპოზიციისა და მემარჯვენეების შეერთებული ხმებით გადაწყდა დასვენება ყოველ კვირა დღეს, ათორმეტ დღესასწაულებში და სხვ.

მუსულმანებმა შესწორება შეიტანეს, რომ ყველას უფლება ქონოდა ეუქმნა თავისი სარწმუნოების თანახმად: ქრისტიანებს კვირა, მუსულმანებს პარასკევი და სხვ. მას მიემხრნენ კადეტები, პოლონელები, პროგრესისტები იმ მოსაზრებით, რომ დასვენებასთან ერთად ნოქრებს საშუალება მიეცემათ თავისი სარწმუნოებრივი მოთხოვნები დაიკმაყოფილონ.

ამ შესწორების წინააღმდეგ წავიდნენ ცენტრი და მემარჯვენეები. წინააღმდეგი იყვნენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატები. სოც.-დემოკრატების და მემარჯვენეების შე-

თანხმება სრულიადაც არ ნიშნავს მათი მოტივების იგივეობას. პირიქით, მათ მოტივებს საერთო არა ქონდათ-რა ერთმანეთთან.

რა მოსაზრებით გახდა სოც.-დემოკრატიული ფრაქცია იმის წინააღმდეგი, რომ ყოველი სარწმუნოებას მუშას ედღესასწაულნა ის დღე, რომელსაც ის სთვლიდა თვითონ დღესასწაულად?

მან მოითხოვა, რომ ნოქრებს საშუალება მისცემოდა ყოველ კვირას დაესვენებინათ განუწყვეტლივ 4½ საათს, ხოლო განსაზღვრული დღე არ დაუსახელებია. გერმანელი სოც.-დემოკრატები თხოულობენ 36 საათის დასვენებას, დღეს არც ისინი ასახელებენ. ავსტრელები თხოულობენ 36 საათის დასვენებას და ასახელებენ კიდევ კვირა დღეს. მაგრამ მიუხედავად იმისა, ასახელებენ თუ არა დღეს, სოც.-დემოკრატები ფაქტიურად იმას ცდილობენ, რომ მუშებმა დაისვენონ კვირის იმ დღეს, რომელიც უქმე დღეთ ითვლება.

აქ სხვა-და-სხვა გვარი მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ. თუ დასვენება უქმე დღეს მოხდება, ყველა მუშები ერთად დაისვენებენ, რაც ერთი მხრით მუშათა საქმის ერთობის მომასწავებელია და მეორე მხრით აადვილებს კავშირებში, სხვა-და-სხვა კომისიებში მუშების მონაწილეობას. მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ მუშები ისვენებდნენ ერთ და იმავე დღეს, თუნდ ის საქმის დღეც იყოს, მაგ. სამშაბათი; თუ კი ყველა მუშები მაშინ დაისვენებენ, ანითი არაფერი არ იკვლება. ესეც არის, რომ კავშირების, კომისიების და სხვ. კრებები და სხდომები ხდება ხოლმე საღამოობით; ასე, რომ მათში მონაწილეობის გაადვილება შეიძლება იმიტომაც, რომ შესაფერაო მიეწყოს მუშაობის დაწყებას და გათავებას დრო; ისე, რომ მუშას საღამო ქონდეს თავისუფალი, ხოლო მეორე დღეს უდროოდ დროს არ უხდებოდეს მუშაობაზე დადგომა. ამიტომ, თუ მაგალ. ზოგიერთ ადგილებში ებრაელები და ქრისტიანები არ იღებენ მონაწილეობას ერთსა და იმავე კავშირში, კომისიებში და სხვ., ეს მარტო იმიტო ახ აიხსნება, რომ ებრაელება ისვენებენ შაბათს და ქრისტიანები კი კვირას. სხვა-და-სხვა დღის უქმობა აძნელებს ამნაირ მუშაობას, მაგრამ უძლეველ დაბრკოლებას კი არ წარმოადგენს მაინცა და მაინც.

მაგრამ ზოგიერთი გარემოება აიძულებს სოც.-დემოკრატებს მოითხოვონ, რომ მუშებს დასვენება მოხდეს არა მარტო ერთსა და იმავე დღეს, არამედ სწორედ უქმე დღეს. სარწმუნოებრივი ტრადიციები ამ შემთხვევაში მეტად უმნიშვნელო როლს თამაშობს. მართალია, სოც.-დემოკრატები ანგარიშს უწყვენ ამ ტრადიციებს, ისინი კეტით სამოთხეში არავის არ ერეკებიან და ცდილობენ პროპაგანდის მეოხებით თავისდა სასარგებლოდ შესცვალონ მუშებს შეგნება. ეს ტრადიციები იძულებულს ხდის სოც.-დემოკრატებს ფრთხილად გადადგან პრაქტიკული ნაბიჯი ამა თუ იმ მოთხოვნების ცხოვრებაში გატარების დროს. მაგრამ სარწმუნოებრივი ტრადიციებით ხელმძღვანელობა პრინციპიალური კითხვის გადაწყვეტის დროს სოც.-დემოკრატებს არ შეუძლიათ. მართალია,



ზოგიერთი სოც.-დემოკრატები თხოულობენ, რომ ყოველ-  
მა მუშაზე იმ დღეს დაისვენოს, რომელიც მას დღესასწა-  
ულად მიაჩნია, მაგრამ ისინი, აშკარაა, ერთმანეთში ურე-  
ვენ ერთის მხრით იმ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებიც  
სოც.-დემოკრატია იძულებულია გადადგას, რადგან ანგა-  
რისა უწყვეს მუშებს ერთი ნაწილის დღევანდელ შეგნე-  
ბას (თუ შეუგნებლობას) და მეორე მხრით იმ კლასო-  
ბრივ მოთხოვნებებს, რომლის შესახებაც უნდა ცდი-  
ლობდეს, შეაგნებინოს ყველა მუშებს. სოც.-დემოკრა-  
ტიამ რომ ზოგიერთებს დაუჯეროს, ის ამით მკვიდრ ნი-  
აღაგზე დააყენებს მას, რაც ხელს უშლის მუშებს გაერ-  
თიანებას და ხელს უწყობს მათ ერთმანეთთან დაშორებას.

პრინციპიალურათ იმიტომ ემხრობა სოც.-დემოკრა-  
ტია უქმე დღეებში დასვენებას, რომ, მისი აზრით, მუშე-  
ბი მაშინ გაიმარჯვდნენ, თუ კულტურას კი არ დაშორ-  
დებიან, პირიქით, მათ დაემყარებიან და თავის-დასასარ-  
გებლოთ გაიოიპნენ. როცა მუშა იმ დღეს ისვენებს,  
რომელიც უქმეთ იავლება ადგილობრივ კულტურულ  
ნაციონალურ პირობებს თანახმათ, მას ამით ეძლევა  
არა მარტო ის საშუალება, რომ ისვენებს იმ დღეს, რო-  
ცა ისვენებენ მისი ახსნაგება, მისი ოჯახი, როცა მისი  
ბავშვებუ სკოლაში არ მიდიან და სხვ., მას ეძლევა აგ-  
რეთვე საშუალება ისარგებლოს საზოგადოების სხვა და  
სხვა კულტურული დაწესებულებათ (თეატრებუ, კონცერ-  
ტები, მუზეუმებუ, ლექციები, სხვა და სხვა გვარი გასარ-  
თობები; სეირნობები და სხვ.), რომლებიც უქმე დღეს  
ხდება ხოლმე ჩვეულებრივით.

ამ მოსაზრებით სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ  
უარყო მუსულმანთა ფრაქციის შესწორება, ყველა სარ-  
წმუნოების მუშაზე თავისი დღესასწაული იუქმოს. მანვე  
უარყო აგრეთვე ის წინადადება, რომ ყველამ კვირა დღე  
იუქმოს.\*) მართალია, როცა ერთი დღე არჩეული იქ-  
ნება საუქმებლათ, ეს უჩვენებს ერთობას, მაგრამ ისეთ  
ერთობას, რომელიც დღევანდელ პირობებში ხელს უწყ-  
ობს სულ სხვა გვარი „ერთობის“ მოყვარულებს, რომ-  
ლებაც ცდილობენ გაბატონებულმა ერმა გადაყლაპოს  
სხვა ერებუ, გაბატონებულმა ეკლესიამ მოსპოს სხვა ეკ-  
ლესიები. ამნაირი გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს  
ბნელ ძალებს, გადაკიდონ ერთმანეთს სხვა და სხვა ეროვ-  
ნების მუშები.

აი, იმიტომ სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტა-  
ნა საკუთარი შესწორება; მალაზიები დაიკეტოს იმ დღეს,  
რომელიც ადგილობრივი პირობების თანახმათ უქმეთ ით-  
ვლება. ამითი მან აშკარათა სთქვა, რომ ის ხელმძღვანე-  
ლობდა არა ნაციონალისტური ან სარწმუნოებრივი მო-  
საზრებით, არამედ მოქმედებდა ადგილობრივი კულტურ-  
ული პირობების მიხედვით აქ არ ექნება ადგილი ნა-  
ციონალისტურ-შოვინისტურ აგიტაციას.

თუ ერთ ადგილას ებრაელი ან მუსულმანი მუშები  
იძულებული იქნებიან კვირა იუქმონ, სამაგიეროთ მეო-  
რე ადგილას ქრისტიანებუ იუქმებენ პარასკევს ან შა-  
ბათს.

სოც.-დემოკრატების ამნაირმა პოზიციამ გამოიწვია  
კამათის დროს კადეტი კულტურის შესაფერი შენიშვნა:  
ეს შესწორება რომ მივიღოთ, მაშინ უნდა უარყვოთ,  
რომ რუსეთში გაბატონებული სარწმუნოებუ არსებობსო.

\*) რასაკვირველია, შეიძლება კვირა დღე იქნეს ამნაირ დღეთ  
არჩეული, მაგრამ რაღა სწორეთ კვირა დღე, როცა რუსეთში  
არის იმისთანა ადგილები, სადაც მთელი ხალხი უქმობს ან ებ-  
რაულ შაბათს ან მუსულმანების პარასკევს.

## შინაური მიმოხილვა.

გასულ კვირაში შესრულდა 30 წელი ქართული  
დრამატიული საზოგადოების დაარსებიდან. ოცდაათი წე-  
ლი ქართულ საზოგადო დაწესებულებისათვის საკმაოთ  
საგრძობელი ხანი არის, რადგან არა ვართ ჩვეული სა-  
ზოგადოთ მათ ასეთ ხანგრძლივ არსებობას. ჩვენში უფრო  
ხშირათ საზოგადო დაწესებულებანი მომენტის მონაბერი  
არიან და ისევე ადვილათ ქრებიან, როგორც ადვილათ  
ეწყობიან. მით უფრო საგრძობლათ და ღირს-აღსანიშ-  
ნავათ უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი სიცოცხლე ისეთი  
დაწესებულებისა, როგორიც არის ქართული თეატრის  
მესვეური და მასზე მზრუნველი რომელიმე ორგანიზაცია,  
მათ შორის კი საპატიო ადგილი უნდა ექიროს დრამა-  
ტიულ საზოგადოებას, რადგან დამაარსებელთა აზრით,  
არსებულ წესდებით, ეს საზოგადოებუ უნდა გაქოლოდა  
მთელ ქართულ სათეატრო საქმეს, მათელი კავკასიის სანა-  
მესტნიკოს საზღვრებში.

სამწუხაროთ, ჩვენი იუბილიარი ძალიან ჩამორჩა ამ  
ძივნის სამსახურში და მისი სამოღვაწეო საგანი დღესაც  
თითქმის იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც ამ ოცდა-  
ათი წლის წინათ იყო.

მართალია არც იმის თქმა შეიძლება, რომ სრულიად  
უნაყოფო ყოფილიყოს ამ საზოგადოების მოღვაწეობა,  
მაგრამ ბევრი არც გაკეთებულია რამე და ეს მით უმე-  
ტეს აღსანიშნავია, რომ შეიძლებოდა კი გაკეთება.

ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით თუ რამდენი სეზონი აწარ-  
მრვა ქართულ თეატრში დრამატიულმა საზოგადოებამ,  
ან რამდენი წარმოდგენა გამართა, რადგან ეს არც ისე  
საინტერესოა. საყურადღეო ის არის ამ საზოგადოების  
არსებობაში და მოღვაწეობაში, რომ იგი რაღაც გარი-  
ყულ და გაყინულ დაწესებულებას წარმოადგენს, თითქოს  
ისეთ ვარსკვლავზე იყოს გაჩენილი რომ ბედათ ხვედრო-  
დეს მუდმივი უილაჯობა და უმოქმედობა. ეს დიდი სა-  
ერო საქმის მომგვარებელუ დაწესებულება, რაღაც ვიწრო  
ინტელიგენტური ჯგუფის ანაბარათ არის მუდამ მიგდე-  
ბული და ვერც ვხედავთ ნიშნებს, რომ მას ოდესმე სა-  
ერო ხასიათი მიეცეს

ამისი მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, თვით „სა-  
ზოგადოებუ“, მისი აღმასრულებელი ორგანოებია, რომელ-  
თაც თავისი მოქმედების ასპარეზათ მხოლოდ და მხო-  
ლოდ ქარვასლის თეატრი გაუხდიათ. ჩვენ დარწმუნებუ-  
ლი ვართ, რომ ბევრს საზოგადოების წევრთაგანს წარ-  
მოდგენილიც არა აქვს, თუ თავად-აზნაურთა თეატრის  
გარეთ შეიძლება ქართული სათეატრო საქმის სამსახური.

ყოველ შემთხვევაში დრამატიული საზოგადოების  
ინიციატივა მის ფარგლებს არ გაშორებია, გარდა ერთი  
შემთხვევისა ამ ათ-ოდე წლის წინეთ, როცა მისი ფირმით  
იმართებოდა წარმოდგენები ქუთაისში.

ჩვენ არაფერი გვაქვს იმის წინააღმდეგ, რომ მთა-  
ვარ ასპარეზათ ეს თეატრი დაისახოს „საზოგადოებამ“,



მაგრამ მაშინ მეორე მიზანი უნდა წამოაყენოს წინ და მის მიღწევაში გამოიჩინოს უნარი. ასეთ მიზნათ ჩვენ მიგვაჩნია ქართული თეატრის განვითარება და გაშვებინება ხელოვნების მხრით, ამ-მხრით მისი ამაღლება. დრამატიული საზოგადოება რომ ამ მიზანს ემსახურებოდეს, მაშინ ბევრი რამ ეპატივებოდა. მაგრამ არც ეს არის მის მოღვაწეობაში და არც მეორე, საზოგადოთ, არა ნაკლებ საინტერესო და ჩვენ პირობებში მყოფთათვის კი, შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანი მხარე სათეატრო საქმისა, მისი ასპარეზის გაფართოება, მისი გავლენის ქვეშ საზოგადოების მეტი ნაწილის დაყენება.

ამ მხრით დრამატიული საზოგადოების მოღვაწეობის დასახასიათებლათ საკმარისია თუნდ თფილისისავე ცხოვრებიდან აღებული მაგალითები. სახალხო თეატრის საქმე სავსებით ამ საზოგადოების გარეშე, მის დაუხმარებლათ განვითარდა აქ. თვით მუშებმა მოაგვარეს თავის საქმე და დღეს ისე აქვთ მოწყობილი იგი, რომ დრამატიულ საზოგადოებასაც კი შეშურს ზოგიერთჯერ სახალხო თეატრის ბედი. როცა სახალხო თეატრი ხშირათ წარჰოდგენებზე დასწრების მსურველთა ნახევარსაც ვერ იტევს, თვით დიდა ქართული თეატრის დარბაზი თითქმის ცარიელია და მისთვის სანატრელათ გამხდარა სრული შემოსავალის ნახევარიც კი.

ასეთი მოვლენა იმას მოწმობს, რომ ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს ხალხში მეტათ დიდია თეატრის მოთხოვნილება, მისადმი ლტოლვილება, მაგრამ დრ. საზოგადოებას. არც უსურვებია და ვერც მიუგნია ამ მოთხოვნილებისათვის და ვერ მოუწახვას ის ძაფი, რომელიც საჭიროა გაბმული იყოს ასეთ დაწესებულებათა და ხალხს შორის.

ამასვე მოწმობს მეორე უფრო საყურადღებო მოვლენა, რომელიც მასში მდგომარეობს რომ თფილისში სპეციალურ საზოგადოებათა გვერდით თამამათ „მოღვაწეობენ“ სათეატრო საქმეში შემთხვევითი ჯგუფები, რომელთაგან ბევრნი უფრო ზარალის მომტანი არიან ხალხისათვის თავისი უმგვანო თამაშით და უვარგისი რეპერტუარით, ვიდრე სასარგებლონი. მაგრამ მიუხედავათ ამისა ხალხი მაინც ეტანება მათ „წარმოდგენებს“. ეს მოვლენა მოწმობს, რომ ხალხის წყურვილი ვერ არის დაკმაფილებული. და თუ კენ წინააღმდეგი ვართ იმისა რომ დრამატიული საზოგადოება ან დახელოვნებული, პროფესიონალური არტისტები მეტოქეობას უწევდენ სახალხო თეატრის ნამდვილ უანგარო მოღვაწეებს, რომელნიც თვით ხალხის დახმარებით, მისი ზედამხედველობით, მისი ძალებით და კონტროლით აწარმოებენ ამ საქმეს, დიდი და გულწრფელი მომხრე ვართ იმისა, რომ დრამატიული საზოგადოება დაეხმაროს პირველ-ყოვლისა ასეთ დაწესებულებებს და თუ ძალა შესწევს თვითონაც ამოუდგეს გვერდით მათ.

მაგრამ არ შეგვიძლია აქვე არ გამოვტყდეთ, რომ ეს ჩვენი მოწვევა ჩვენვე გვაშინებს. ეჭვი გვებადება, რომ იმ დაწესებულებამ, იმ ორგანიზაციამ, რომელიც ასე თუ ისე სამაგალითო თეატრში ვერ უძღვება საქმეს, ვერ იჩენს საკმარის უნარს ხელოვნების მხრით იქ, სადაც უფ-

რო სასტიკი კრიტიკაა მოსალოდნელი, ვაი თუ სახალხო აუდიტორიების და სახლია საზოგადოება სულ არარად ჩაადლოს და ისეთი ხელოვნება აჩვენოს, რომელსაც სრულიად უთეატრობა აჯობებს. ვამბობთ ამას გულახდილათ, რადგან არა ერთი და ორი ასეთი წარმოდგენა გვინახავს ქართულ თეატრში.

ვერ ასრულებს დრ. საზოგადოება კიდევ ერთ დიდსა და უმაჯრეს მოვალეობს, ქართულ თეატრის ახალი ძალებით გამდიდრებას. მისი ტრუპა (დასა) დღესაც თითქმის იმავე ძალებიდან შედგება, რომელიც 30—25 წლის წინეთ გამოსულან სასცენო ასპარეზზე. ამ მხრით საქმის მოგვარება კი მხოლოდ ასეთი საზოგადოების მოვალეობას შეადგენს.

კიდევ ბევრი რისამე თქმა შეიძლება, მაგრამ დღეს შესაძლოა ესეც უადგილოთ ჩამოგვართვან, რადგან არ არის მიღებული ასეთ ბედნიერ წამებში არა სასიამოვნო საუბრის ჩამოგდება. მხოლოდ იმით შეგვიძლია ასეთი წესის დარღვევაში თავის მართლება, რომ ჩვენი კრიტიკა კეთილისმყოფელის შენიშვნებია და ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს მომავლისთვისაც მივცეთ ორიოდ რჩევა.

დრამატიულ საზოგადოებას მტკიცეთ უნდა ახსოვდეს თავის მოღვაწეობაში, რომ ყოველი ქართული კულტურული საქმის წაყვანა მხოლოდ დემოკრატიის დახმარებით შეიძლება. საბედნიეროთ უკანასკნელი საკმაოთ გამოფხიზლებულია, მასში კულტურული მოღვაწეობის და საზოგადოთ მოქმედების სურვილი საკმაოთ განვითარებულია, და თუ საქმის მესვეურნი შეძლებენ ამ დემოკრატიის თავის გარშემო შემოკრებას, მაშინ საქმეც სასურველათ მოეწყობა. მკონარე ინტელიგენციის წაყვანილ საქმეს კი ჯერ ჩვენში არ უხეირნია და მომავალში კიდევ უფრო ნაკლებ იხეირებს. ამტომ საჭიროა „საზოგადოებაში“ შესვლის გზა გაეხსნას უფრო „წვრილფეხობასაც“, საჭიროა მათი მოზიდვა, საქმესთან ახლო დაყენება და მაშინ მომავალი ათი წლის თავზე შეიძლება ბევრათ უფრო ნაკლები გვექნეს სასაყვედურო.

აუცილებლათ საჭიროა აგრეთვე საზოგადოების მოღვაწეობის თფილისს გარეთ გატანა-გაფართოება და სწორეთ დრამატიული საზოგადოების სახელით.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საზოგადოთ ჩვენი თეატრის საქმეს, მისი გავლენის გაძლიერებას, თუ შესაფერი რეპერტუარი ექნება, რასაკვირველია, და მით „საზოგადოებაც“ იმ საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც შეფერის მისს მიზანს...

თეატრის მნიშვნელობა კი ჯერ კიდევ მეტათ დიდია ჩვენებრ ჩამორჩენილი კუთხის ცხოვრებაში მაინც, როგორც აღმზრდელი დაწესებულებისა და ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. დღევანდელ პირობებში მხოლოდ იკაა **შედარებით** უფრო უზრუნველყოფილი ქუჩიანი ხელების ფათურისაგან და სცენიდან, დრამატიული ნაწარმოებთა დახმარებით შეიძლება ხალხის გულში უკვდავი ცეცხლის გაღვივება. ამ მიზნის სამსახური კი მეტათ დიდი საქმე იქნება.

ნარი.

# სახელოსნოებში მომუშავეთა ნორმალური დასვენება.

უკვე ორი თვე შესრულდა, რაც სახელოსნოებში მომუშავეთა ნორმალური დასვენების შესახებ ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილება ძალაში შევიდა. ორი თვე არ კმარა მისი მნიშვნელობის დასაფასებლათ. ეს მართალია, მაგრამ საჭიროა, მხოლოდ ყურადღებით გადაათვალიერო ეს დადგენილება, რომ აშკარათ შეამჩნიო მისი ზოგიერთი ნაკლებეფანება. შეიძლება, ზოგიერთებმა გვისაყვედურონ, რომ შემთხვევები ხართ, არ გინდათ გულ-დამშვიდებით მოუცადოთ ამ დადგენილების შედეგებსო. მაგრამ ეს საყვედური არ იქნება სამართლიანი, რადგან ზოგიერთმა შედეგებმა უკვე იჩინა თავი. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ამ დადგენილების უმთავრეს ნაკლებეფანებას მისი ეპიზოდური, შემთხვევითი ხასიათი შეადგენს. მან ვერ შექმნა მთლიანი სისტემა, რომელსაც უზრუნველყო ნორმალური დასვენება. საჭიროა იყო სახელოსნოში შრომის მამაპაპური, დაწესებული პირობების მოსპობა. ეს კი მხოლოდ კანონს შეუძლია და არა სავალდებულო დადგენილებას.

უპირველესად ყოვლისა საჭიროა იყო საფაბრიკო, ან თუ გნებავთ, — სახელოსნო ინსპექციის დაარსება. უამისოთ სავალდებულო დადგენილება არავისათვის სავალდებულო არ იქნება. საჭიროა თვალ-ყურის დევნება, გაფრთხილება, რომ ძლიერმა სუსტი არ დაჩაგროს. ხაზინი უნდა გრძნობდეს, რომ მას თვალ-ყურს ადევნებს ძალა უფლებით აღჭურვილი და სრულიად დამოუკიდებელი პირი. მართალია სავალდებულო დადგენილებების 8 მუხლი ამბობს, რომ ამ დადგენილებების დარღვევისა და შეუსრულებლობისათვის დამნაშავეები სამართალში მიიციეშიანო, მაგრამ ჯერ ერთი მოსალოდნელი სასჯელი მეტათ მცირეა (ჯარიმა არა უქეტეს 50 მან.), მეორეც ესა, რომ ვინ უნდა მიუთითოს ვისაც ჯერ-არს, სავალდებულო დადგენილებას ხაზინები არღვევენო. თითონ მუშები ამას ვერ გაბედავენ. შეკავშირებული ხაზინები, შავი სიები, უმუშევრობის მოლოდინი ისეთ საფრთხეს წარმოადგენს, რომ მუშები კრინტსაც ვერ დასძრავენ. და თუ გაბედეს რამე, ადგილსაც დაკარგავენ და დიდი ხნით ლუკმა პურის შოვნის საშვალეც მოესპობათ.

ან იქნება თითონ ქალაქის საბჭომ დაავალოს თავის აგენტებს, თვალყური ადევნონ სავალდებულო დადგენილებების ასრულებას! მერე რაღას უყურებენ? ჯერ მათ არა გაუკეთებიათ რა. აღიძრა ორიოდ სანჯარი ხაზინების წინააღმდეგ და ისიც თვითონ მოსამსახურეებმა აღიძრეს. უეჭველია, მათ ხერი არ დაეყრებათ. ამ სტრიქონების დამწერმა კი თვითონ ნახა, როგორ საქვეყნოთ, მოურიდებლათ არღვევენ სავალდებულო დადგენილებას და ხმას კი არავინ იღებდა, ვითომ ყველაფერი თავის რიგზე ყოფილიყო.

თვალ-ყურის დევნების საჭიროება იმდენათ აშკარაა,

რომ სახელმწიფო დუმაში კანონ-პროექტი შექმნა განსაკუთრებული კომისიის (საუბნო ზედამხედველები) დაარსების შესახებ. მაგრამ არც ეს კომისია კმარა. მას არა აქვს უფლება თვალ-ყური ადევნოს სავალდებულო დადგენილების ასრულებას. მან მხოლოდ ხაზინებსა და მუშებს შორის ატეხილი დავა უნდა გააჩიოს. აქაც ისევ ის კითხვა იპადება, ვინ უზრუნველ-ყოფს მუშას, რომ ხაზინი ან, შეიძლება ხაზინებიც — მაზე შურს არ იძიებენ და ჯავრს არ იყრიან. ხაზინები ხომ ვერ მოითმენენ, რომ ვინმემ შეზღუდოს მათი უფლება მუშის ოფლით გასუქების შესახებ.

არავითარი უზრუნველყოფა არ მოხერხდება, სანამ არ დაარსდება სახელოსნო ინსპექცია, სანამ ფებს არ მოიკიდებენ ძლიერი პროფესიონალური კავშირები, რომლებიც უშიშრათ დაიცავენ მუშა-ხელოსნების იმ მინიმალურ უფლებებს, რომლებიც სავალდებულო დადგენილებამ სავალდებულოთ აღიარა.

ამ დადგენილებების მეორე დიდ ნაკლებეფანებას ის შეადგენს, რომ მასში კრინტიც არ არის დაძრული დედაკაცის შრომის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ დედაკაცის ორგანიზმი იმდენათ განსხვავდება მამაკაცის ორგანიზმისაგან, რომ მისი შრომის შესახებ განსაკუთრებული კანონმდებლობა საჭიროა. ისიც ვიცით, რომ დედაკაცის შრომით ფართოთ და იაფათ სარგებლობენ ყველგან. ამისთანა პირობებში საჭიროა იყო „ლიბერალურ“ საბჭოს გამოცემა სავალდებულო დადგენილებები დედაკაცის შრომის შესახებ. საჭიროა იყო დადგენილება დედაკაცის შრომის შესახებ ფეხმძიმობის დროს და მშობიარობის შექდეგ. უამისოთ ქმრიან მუშა დედაკაცებისათვის ამ დადგენილებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

არც ბავშვების შესახებ არის საკითხი კარგათ გამოკვეული. სავალდებულო დადგენილების მეოთხე მუხლის ძალით 17 წლისაზე ნაკლებნი ჩვეულებრივ დასვენების გარდა სრულიად თავისუფალი არიან სახელოსნოში რეშობიდან დილის 8 საათიდან 11 საათამდე. ამ მუხლის განსახორციელებლათ საჭიროა ბრძოლა ხაზინებს გარდა მშობლებთანაც. ხაზინებიც და მშობლებიც, თუკ სხვადასხვა მოსაზრებით, ძალასდატანენ მცირე-წლოვანებს, არ ისარგებლონ ამ თავისი უფლებით და 8-დან — 11 საათამდეც ამუშავენ. ეს მით უფრო ადვილია, რომ ძნელათ შეიძლება, თვალთ გააჩიოს კაცმა 16 წლის ბავშვი 17 წლისაგან. ამისი განხორციელებაც შეიძლება მხოლოდ სახელოსნო ინსპექციის და პროფესიონალური კავშირების მეოხებით.

დასასრულ არ შეგვიძლია არ მივუთითოთ ერთ დიდ ნაკლებეფანებაზე შრომის საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ჰიგიენურ პირობებს. თუ სახელოსნოში აუარებელი ტალახი, შეხუთული ჰაერი, ორ-პირი ქარი, სინოტი და ამათი მსგავსი აუცილებელი იქნება, მაშინ ნორმალური დასვენებაც ვერაფერს ან თითქმის ვერაფერს ვერ გააუმჯობესებს. ამნაირი შრომის შემდეგ კაცს უნარი აღარ შერჩება, რომ სიცოცხლითა და თავისუფლებით ისარგებლოს. მუშა უფრო უსულგულო მანქანას დაემ-

სგავსება, ვიდრე ადამიანს, რომელსაც კულტურული მოთხოვნილებები აქვს. საჭიროა, რომ სახელოსნოში მუშაობა არ ემსგავსებოდეს კატორგაში მუშაობას. მხოლოდ მაშინ შეიძლება ნორმალურ დასვენებაზე ლაპარაკი. ვინც წინააღმდეგ იქცევა, ის ან პირმოთენებას, და ან არ ესმის, რას აკეთებს.

ჩვენ არ ვიცით, არ ცხმის თუ პირმოთენობს თფილისის საბჭო, როცა სავალდებულო დადგენილებებში არაფერს ლაპარაკობს სახელოსნოებში ჰიგიენური პირობების შესახებ. ჩვენ მხოლოდ იმაზე უნდა მივიფიქროთ, რომ საბჭომ არ ისარგებლა თავისი უფლებით. სამოქალაქო დებულების 108 მუხლი უფლებას აძლევს საბჭოს, გამოსცეს სავალდებულო დადგენილებები სახელოსნოებისა და ფაბრიკების სანიტარული მდგომარეობის შესახებ. თუ თფილისის საბჭო მართლა ზრუნავს შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, მან უნდა იზრუნოს სახელოსნოებში ჰიგიენურ და სანიტარულ პირობების გაუმჯობესების შესახებ.

მაგრამ ეს მაინც არ კმარა. ამნაირი წვრილმანი გაუმჯობესებებით არაფერი გაკეთდება. უნდა შეიქნეს შრომის უზრუნველსაყოფა მთლიანი სისტემა. ეს კი მხოლოდ კანონმდებლობითი გზით შეიძლება. ვერც ინსპექციას, ვერც პროფსიონალურ კავშირებს ქალაქის საბჭო ვერ დააარსებს. უამისოთ კა საქმეს არა ეშველება-რა. სანამ არ იქნება იმისთანა პირები, რომლებსაც უფლება ექნებათ თვალ-ყური ადევნონ ხაზინების მადას და თავისი საზღვარი უჩვენონ მათ, სანამ არ შეკავშირდებიან მუშეები, რომლებიც თავის უფლებებს თვითონ დაიცავენ, მანამდე სავალდებულო დადგენილების ვერც ერთი მუხლი ვერ განხორციელდება.

Викторъ.

### ს ა ზ დ გ ა რ გ ა რ ე თ ი.

**საფრანგეთი.** „სოციალისტ“ ბრანსის სამინისტრო განაცხადებს მუშების დახურულ-დასახინჩებს მანიფესტაციის დროს. გაფიცვის დროს ზოლიციანთან შეტაკების გამო სსსი-კვლეოთ დაიჭრა ერთი მუშა. შრომის კანფედერაციამ მის დასაფლავების დროს მანიფესტაციის გამართვა მოინდომა. მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 10.000 მუშამ. კუბოს ამშვენებდა გვირგვინი, რომელსაც ეწერა: „სოციალურ წესწობილებას მსხვერპლს“. პროცესიაში დად მონაწილეობას იღებდა „რევოლუციონური ახლგაზდობის“ კავშირი. რამდენიმე წერილმანი შეჯახება მანიფესტანტებს და პოლიციელებს სსსოფლაოზე მისულამდინაც მოუვიდათ. მაგრამ უმთავრესი ბრძოლა დასოფლავების შემდეგ მოხდა. პროცესიას ხელმძღვანელების სურვილის წინააღმდეგ „რევოლუციონური ახლგაზდობის“ კავშირმა სსსოფლაოდან ქალაქში გაშლილი დროშებით მოინდომა დაბრუნება. წინ გადაელობა ზოლიციელთა რაზმი და დრაგუნების ერთი ესკადრონი. სამჯერ ზედი-ზედ მისცეს ნიშანი, რომ დაშლილიყვნენ და ხმალ ამოწვდილი ზოლიციელები და დრაგუნები დაეჩინენ ხალხს, ხალხიდან მოისმა რამდენჯერმე რევოლუციის

ხმა, მაგრამ პოლიციელებმა მაინც გაფანტეს მანიფესტანტები და დაუწვეს დევნა თითო დროსა გაქრეულ მუშეებს მუშების ერთმა ჯგუფმა დაიჭირა მადლობე რკინის გზის ხიდი და იქიდან ქვების სროლა დაუწყო პოლიციელებს. 15 წამის შემდეგ ბრძოლის ველზე დარჩნენ გამარჯვებული პოლიციელები და ჯარი.

შეტაკების მიზეზი, როგორც ჩანს, მხოლოდ ის იყო, რომ მუშებმა წითელი დროშით გავლა მოინდომეს ქუჩაში. ამნაირი შეტაკება ხდება საფრანგეთის სსტანტო ქალაქ პარიზში, სსდაც საქმის მართვა-გამკება რადიკალ-სოციალისტების ხელშია, სსდაც სამინისტროში სსმი ყოფილი სოციალისტია, და სსდაც თავით მინისტრ-პრეზიერიც ყოფილი სოციალისტია.

**ისპანია.** ერთ დროს მთელს ღვროზას რომის პაპი თითქმის ბრძანებლობდა. ხალხი ღვდლებისა და ბერების კლანქებში სულსა ხუთავდა. ევროპის ზოგმა სახელმწიფოებმა რეფორმაციის დროს ისხნეს მათგან თავი. ზოგან კი სადაც უმრავლესობას კათოლიკები შეადგენდენ, ისევ შერჩა სასულიერო წოდებას დიდი გავლენა. ყველაზე უფრო ხანგრძლივი ეს გავლენა ისპანიაში აღმოჩნდა. მაგრამ, როგორცა ჩანს, იქაც ეღება მას ბოლო. ისპანიის ლიბერალურმა მთავრობამ მოლაპარაკება გამართა რომის პაპთან კონკორდატის (ხელშეკრულობა, რომელიც რომის პაპისა და რომელიმე სახელმწიფოს მთავრობის შუა არის დადებული ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ) შეცვლის შესახებ და აპასთან ერთათ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც მონასტრები და კონგრეგაციები სამოქალაქო კანონებს ემორჩილებიან და გადასახადებსაც იხდიან, არა კათოლიკებსაც ნება ეძლევათ თავის ეკლესიებს და საპლოცველოებს გარედან შესაფერი ნიშნები გაუკეთონ. რომის პაპი კონკორდატის შესახებ საქმეს აქიანურებს, ხოლო ხსენებული განკარგულების წინააღმდეგ კი პროტესტი განაცხადა. კანაღხასის სამინისტრომ უპასუხა, რომ ეს განკარგულება სამოქალაქო მართვა-გამგეობას ეკუთვნის და კურიას აქ ჩარევის უფლება არა აქვსო. ამაზე ისეთი ცხარე პროტესტი განაცხადა პაპმა, რომ მინისტრის აზრით შესაძლებელია დპლომატური კავშირი შესწყდეს. რომის პაპი ჯიუტობს და ჯავრობს. ის ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ რაც აუცილებელი იყო მეთაოთმეჭე საუკუნეში, ის შეუძლებელია მეოცეში.

ფინისის ჰირველ რიცხვებში ზარიზის აღმინისტრაციულ სსსამართლდომი გაიჩნა საქმე, სსდაც ბრალდებულის სკამზე იჯდა რუსი რევოლუციონერი—რიფსი, კერძო ბრალდმდებელი და მომჩივანი იყო რუსეთის ფარული ზოლიციის წარმომადგენელი ფონ-კოტტენი. ეს პროცესი მოხდა საფრანგეთში, მაგრამ აღმოცენდა რუსეთის სინამდვილას ნიადაგზე და ამ სინამდვილეს სსსუბიით ახსიათებს. პროცესი მით არის საინტერესო, რომ სიტუეის თავისუფლებას არა ზღუდავდა სსსტიკი თავმჯდომარე. უკანასკნელი ურადლებას არ აქცევდა ფონ-კოტტენის განცხადებას, ელამარკანთ მხოლოდ მისი საქმის შესახებ და არ შეხებოდენ რუსეთში ფარული ზოლიციის და პროფკაციის სკაითხს. ამ გარემოებას სსშუალება მისცა ბრალდებულის ვქილებს—

ვალმს, დეპუტატს, სოციალისტური ზარტის წევრს და ტომასინს, რუსეთში დაბადებულს და აღზრდილ ფრანგს, გადაუშალათ მსაჯულებისა და საზოგადოების წინაშე რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნობებების სინამდვილე.

როგორც დაბადა დასავლეთ რუსეთში წვრილ ბურჟუაზიულ ოჯახში. განათლება დიდი არა მიუღია რა. 18 წლიდან სავაჭრო საქმე დაიწყო. როგორც არ მისწონდა რუსეთის სინამდვილე, მაგრამ ბრძოლას დედამისის ზეპირსიტყვიერებით ერიდებოდა. 1904 წ. მშობლები დაეხატნენ და როგორც მთავრად უსამართლოებასთან ბრძოლა. რაში გამოიხატებოდა ეს ბრძოლა, არა სჩანს. რევოლუციონერ ორგანიზაციებში ის არ შესულა, და არც სისტემატიურ რევოლუციონერ მოქმედებისათვის მიუყვია ხელი. იცნობდა მხოლოდ სექსუალ ზირებს. 5 აპრილს 1905 წ. როგორც დაატუსაღეს. ივლისში მონა ბელარუსის ზოგადი, რის შემდეგ ბოქსულ სამსონოვს უმბარა ესროლეს. უმბარის მსროლელი დაატუსაღეს და როგორც ჩანს. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ პოლიტიკური ტუსაღები გაათავისუფლეს; როგორც კი იჯდა ციხეში, არც ბრალდებას უცხადებდნენ და ვერც ის გაიგო, თუ რა დანაშაულობისათვის იტანჯებოდა. ბოლოს ბელარუსის დამცველმა განყოფილებამ სამსონოვისთვის უმბარის სროლაში მონაწილეობა დააბრალა. როგორც ზრტოსტი განაცხადა, მაგრამ ზირში წაუყენეს ის უცნობი, რომელმაც სამსონოვს უმბარა ესროლა და მის შემდეგ რამდენიმე დღე რიბსთან იჯდა ერთს კამერაში. რა უნდა ექნა როგორც? რით უნდა დაემტკიცებინათ თავისი უდანაშაულობა? მისი უდანაშაულობა კი იმდენად აშკარა იყო, რომ ვერცხდნენ სასამართლოს ზრტოსტის საქმე გაიხრათ თუ არა, როგორც გაათავისუფლდა.

ამ დღიდან როგორც კარგო რევოლუციონერად, თუმცა რაიმე დიდ რევოლუციონერ საქმეში მონაწილეობა არ მიუღია. 1906 წელს როგორც ხელმეორეთ დაატუსაღეს, და რადგან არავითარი ფაქტები მის წინააღმდეგ არ იყო, აღმინისტრაციული წესით 4 წლით ციხეში გადასახლეს. როგორც გამოიხარა და რუსეთში იმალებოდა. ბოლოს დაატუსაღა ფონ-კოტენი და წინადადება მისცა, დამცველ პოლიციის აკენტად გამხდარიყო. რა უნდა ეკეთებინათ რიბსს?

ფონ-კოტენი ირწმუნება, რომ მხოლოდ ცნობები უნდა მიეწოდებინათ დამცველი პოლიციისთვის რევოლუციონერ ორგანიზაციების მოქმედების შესახებ. როგორც კი ირწმუნება, რომ მის დაავადეს რევოლუციონერების სხვა და სხვა დანაშაულობაზე წაქეზება, მათი თვალის სახვევით ამ დანაშაულობაში მონაწილეობის მიღება. აქ არის ამ ზრტოსტის კვანძი, ეს გარემოება ამ ზრტოსტის ხდის რუსეთის პოლიციის ზრტოსტად.

როგორც მიიღო ფონ-კოტენისგან 225 მან. ფულადი, უფლებით, უფლებით, საჩუქრად მიიღო წერილი ვილან ალექსანდროვთან, რომელიც ლანდუზენ-გარტინგი აღმოჩნდა და წავიდა ზარიზში, რომ იქ დასაწყობებოდა რევოლუციონერ ორგანიზაციებს. ზარიზში ჩასვლისას მან გაითვალისწინა თავისი მდგომარეობა, მიხვდა მთელ მის სპინელებს და მთავრად სამაგიერო გადაეხადა ფონ-კოტენისთვის. დეპუტათ შეატყობინა ფონ-კოტენს, ჩასულიყო ზარიზში, რადგან საჭირო ცნობები უნდა გადაეცა. ფონ-კოტენი ზარიზში ჩავიდა და ოთხჯერ ინახულა როგორც. უკანასკნელ შეხვედრაზე როგორც ბრუნინგი დაასახლა შეიძლება ფონ-კოტენს, მაგრამ რკინის ზეპირსიტყვიერება გადა-

არჩინა უკანასკნელი სიკვდილს. როგორც თითონ მიმართა პოლიციულს, ოქმი შეეკრინათ.

ამ საქმის გამო როგორც სამართალში მისცა, ფონ-კოტენის სამთავრო სხივარი აღძრა, რომ ზრტოსტის მონაწილეობის საშუალება მისცემოდა. უჩიოდა 1 ფრანგს (37 1/2 კ.) დამცველთა მოიწვია გამოჩენილი ადვოკატი და ორატორი ლაბარი, რომელიც ცნობილია, როგორც დროეულის ვეჭვილი.

სასამართლოს დაბრუნება გატევილია ნახევრად ფრანგი, ნახევრად რუსი საზოგადოებით. ყველას უურადა მთავრობის ფონ-კოტენზე, ყოველ მის სიტყვაზე. ის არის წარმომადგენელი განსაკუთრებული ფარული მხარის, რომელსაც ამდენი ზნეობრივი ბრალი ედება, იმავე დროს წარმომადგენელია საშინელი, უხარმარო ძალის. ფონ-კოტენი უხერხულად გრძნობს თავს.

დაიწყო მოწმეების გამოკითხვა. ლაზარაკობს რუსეთის საქმეების კარგი მცოდნე ვეჭვილი და ურნალისტი ლანკე. მან დაასწავლა რუსეთის განმთავისუფლებელი მოძრაობა დეკაბრისტებიდან დაწვებული და რუსეთის აღმინისტრაციის მოქმედებათა შინაურ მტერთან ბრძოლის დროს. ფონ-კოტენი თხოვს სასამართლოს, მოწმეებმა ილაზარაკობს მხოლოდ მისი საქმის შესახებ და ძველ საქმეებს ნურც რევოლუციონერების და ნურც ზრტოსტის შესახებ ნუ შეეხებოან. მე, როგორც ჩემი მთავრობისგან განსაზღვრული მიზნით გამოვხატავი, ამ ნაირ კითხვებზე ზსუხს ვერ მივცემო. მან გამოიწვია ბრალდებულის ვეჭვილის ვილმის ცხარე ზსუხი: „ჩვენ საფრანგეთის სასამართლოში ვართ. პოლიციის ფონ-კოტენმა შეატყობინა თავის მთავრობას, რომ აქ ოფიციალურ წარმომადგენლებს ადგილი არ აქვთ. აქ არიან ნაფიცნი მსაჯულნი, რომელთაც უნდა განსჯან და მისამართენი, რომელთაც ზრტოსტის უნდა უხელმძღვანელონ. არავის გარეშე უფლება არ აქვს სასამართლოს საქმეში გაეროს“. თავმჯდომარემ ფონ-კოტენს ზსუხის ნება არ მისცა.

ლაზარაკობს ცნობილი დეპუტატი ურკესი. ის დაწვრილებით უამბობს კარტინგ-ლანდუზენის საქმეს. მის შემდეგ ლაზარაკობს მოსკოველი ვეჭვილი სტალი. ვეჭვილი ვილმი სთხოვს, განმარტოს რა უფლებებით არის აღჭურვილი დამცველი პოლიცია. სტალი მოკლეთ და მშრალად უამბობთ გაძლიერებულ და არა-ჩვეულებრივ წესებს. მისამართლები განცვიფრებული არიან.

- რუსეთის დიდი ნაწილია მაკ მდგომარეობაში?
- უმეტესი ნაწილი ხანდახან თითქმის მთელი რუსეთიც.
- რამდენი წელიწადია, რაც კვ წესები არსებობს რუსეთში?

— თითქმის ცელალო.  
 მოწმე რუბანოვი უამბობს, ვილმის თხოვნით, რუსეთში ზრტოსტის საქმეს, როგორც ეს გამოიკვია დროში შეკითხვის დროს და ზრტოსტის. როგორც გადაიწვა პოლიციის აკენტის სტალიის ტანისამოსი და გამაზიის მოწმეებთან ერთად უმბარებს ამხადებდა, რომ ისინი ჩვეთრია დანაშაულში. ფონ-კოტენი ცხადებს, რომ ის ზირადათ არსოდეს არ სარგებლობდა ზრტოსტის დანაშაულებით.

საინტერესო ჩვენებს ამდგეს ბურცკევი. უკანასკნელი ამხადებებს, რომ ალექსანდროვი, ვისთანაც ფონ-კოტენმა წერი-

ლი გაატანა რიფსს, არის იგივე ლანდესენ-გარტინგი. ეს უკანასკნელი მონაწილეობას იღებდა მათ მოლაპარაკებაში. ფონ-კოტტენი ეკუთვნის ადმინისტრატორების იმ რიცხვს, ვისაც ვიწრო კავშირი ქონდა აზოეთთან, რომელმაც 29 მკვლელობა ჩაადგინა სხვა-და-სხვა პირებს. ფონ-კოტტენი სარგებლობდა ყოველი შემთხვევით. რომ წინადადება მიეცა რევოლუციონერებისთვის, დამტკიცებდა მონაწილეობა მიიღო. ხანდახან რევოლუციონერთა გულზე დაადგებოდა ხელში თავის მისაღებად და ისე აძლედა ამ წინადადებას; ეშინოდა, მისაღებად არ გაჟვრდეს და არ შეტყოს. ფონ-კოტტენი უარსა ეთმობდა: „მეწამე ვიდასაც შეცდომაში შეუყვანია“.

— არასოდეს, უნასუხა ბურცევა, არც ერთი ჩემი საჯარო განცხადება ჯერ არ დაურღვევიათ. — ფონ-კოტტენმა გადახედა ბურცევს, თითქმის თვალებით გაქრობას უპირობდა.

უკანასკნელათ ჩვენება მისცა ყოფილმა პრეფექტორმა ბაკაი. „შეიძლება თუ არა, შეეკითხუნ ბაკაის: რევოლუციონერმა ჯაშუშობა დაიწყო და პრეფექტორი არ განდევნა? “ „არასოდეს“ უნასუხა ბაკაი: „თუ თვითონ არ მიიღო მონაწილეობა, სრულიად აღარაფერი არ ეცდინებოდა“.

გათავდა მოწმეების გამოკითხვა. დაიწყო მხარეების კამათი. უბაღლო მკვრამეტეველი ლაბორი და გესლიანი ბრალდებელი ერთის მხრით, უფრო მკვრამეტეველი და გულშემზარავი ფაქტები მეორეს მხრით. ფაქტებმა სძლია. ნათესავმა მსჯელებმა რიფსი უდანაშაულოთ იცხეს. ლაბორიმ სამოქალაქო საჩივარზე უარი განაცხადა.

სასამართლოს კარიდორებში ბურცევს მიმართა ფონ-კოტტენმა და სთხოვა, ნება მიეცა მისუღიყო მასთან ახალ არა-ლეგალურ ლიტერატურის შესახებ მოსალოაპარაკებლათ. „მე ვიღებ განურჩევლათ ყველას, ვისაც ჩემთან საქმე აქვს, — უნასუხა ბურცევს: — ყოველ დღე ორი საათიდან ოთხამდე“. ბევრს ეს შეხვედრაც არა ნაკლებ პრეტენსიას აინტერესებს. (P. B.)

## რუსეთის ცხოვრება.

**რუსეთ ავსტრიის ომის მოლოდინში.** ზოლოდინის პრესის ერთი ნაწილი წინასწარმეტყველებს ავსტრიას და რუსეთს შორის თუ ომი არა, დამოკიდებულებათა უკიდურეს გამოწვევას მანინ.

ნაციონალიზმის გამარჯვებას რუსეთი მაუას ავსტრიასთან ომისკენ, ავსტრია კი იარაღს ისხამს.

ასე ფაქტობს „ვარშავის გაზეთი“. ომის „სიმბოლოებს“ და „საბაბებს“ გაზეთი ბევრს ხედავს. აი, თუნდ ფრანც იოსების მოწოდება შეიარაღებისადმი, „მოსკალეფილების“ წინააღმდეგ რეპრესიების დაწყება, გუზაკის სოფლაში სიუხადზე წასვლა, ბარონ უნგერ-შტენბერგის დატუსაღება და სს.

უფრო საინტერესოა მეორე ზოლოდინური გაზეთის მისაზრება ამ საგანზე.

— რუსეთის ნაციონალიზმს — ამბობს ეს გაზეთი — არ შეუძლია იკვებოს მარტო შინაური მტრებით. რამდენადაც ის ექსტენსიური ხდება, იმდენათ ამხედრებს თავის წინააღმდეგ

ავსტრიას. გალიცია, ბუკოვინა, ბალკანეთი, — აქ არის მხრე... საითაც აზურობენ თავიანთ მსუბუქელობას რუსეთის წინააღმდეგობის სტრუქტურა. მიუხედავად უკანასკნელი დამარცხებისა, რომელიც განიცადა რუსეთმა, გრ. ბობრინსკის და სხვა მისგან „რუსეთის მიწის შემგრძობლებში“ ავსტრია არ იწვევს შიშის გრძობას.

**რას უშვრებიან გადასახლებულთ?** 1909 წელს ხელმაგორში დაარსდა ზოლიტიკურ გადასახლებულთა კავშირი, რომლის მიზანი იყო გადასახლებულთა კულტურული და სხვა-ობრივი ამღებება და საჭირო შემთხვევებში მათთვის მატერიალური დახმარების გაწევა. კავშირს ქონდა თავის შორის ამოხრეული ბიურო, რომელიც განაგებდა კავშირის კასის, სამკითხველს, ბიბლიოთეკას, სკოლას, დამოკიდებულება ქონდა მცხოვრებლებთან, ეხმარებოდა ზოლიტიკურ გადმოსახლებულთა და სხვ.

მაგრამ 1908 წ. ადმინისტრაციამ კავშირი დაანგრია. 12 მარტის ცირკულარით გადგინა გარკვეს და გააუქმეს გადასახლებულთა ისეთი ორგანიზაციებიც კი, როგორც არის სასადალო, სკოლა და ბიბლიოთეკა.

ჩქარა ამის შემდეგ ზოლიცია და ახლანდემოც დაესხა თავს გადასახლებულთ, მახდინეს მასიური ჩხრეკა, რომლის დროსაც წაიღეს კავშირის წესდება და მთელი საქმის წარმოების ქაღალდები.

ახლა ხელმაგორში დარჩენილ კავშირის წევრ გადასახლებულთ ადმინისტრაცია უპირებს ზსუხის გეგმაში მტკიცებას.

ბრალდებულებმა გამოძიებულის წინაშე განაცხადეს, რომ კავშირი ლეგალურათ არსებობდა და 4 მარტის კანონის თანახმით ზოლიცია მუდამ გზავნიდა კავშირის კრებაზე თავის წარმომადგენელს.

გამომძიებელმა მანინ მოახდინა განკარგულება, რომ ბრალდებულნი გადაეტეს ეგრეთ წოდებულ „ГЛАСНИЙ НАДЗОРЪ“-ს.

**კიდევ რასპუტინი.** რუსეთის პრესაში კვლავ ბევრს დაზარალებენ „ნეტარ მოხუც“ გრიგორი რასპუტინის შესახებ.

„რასპუტინზე“ — ვკითხულობთ „რქში“: უნდა დაიწეროს მთელი დისკრეტაცია, უნდა მოხდეს დაწვრილებითი გამოკვლევა, და მოლოდინ მამინ შეგვეძლება, შეუცდომლათ ვილაპარაკოთ როგორც თვით რასპუტინზე, ისე იმ წრეზე, რომელიც ავრცელებდა იგი თავის მოძღვრებას“.

რამ გამოიწვია რასპუტინის გამოსვლა?

„ეკვლავიერი, რასაც განიცდის დღეს რუსეთის ეკლესია, განსვენებული ზოლოდინის რეჟიმის ნაყოფია. საზოგადოებას ხომ არ შეუძლია დღეს ნათლათ წარმოადგინოს ის განრწმუნა, რომელიც სწარმოებს უმაღლეს სასულიერო წრეებში. ეს რასპუტინები, გერმოგენები, ილიოდორები, ვასტარგაეები, თეოფანები, სერაფიმები, — ყველა ეს სასულიერო პირები წარმოდგენენ წარსული საეკლესიო ცხოვრების ნაყოფს. მართლაც. ვინ არიან ეს გერმოგენები, ილიოდორები და სს.? მათ ვერ მიუდგებით ვერავითარ გარკვეულ თვალსაზრისით, ვერავითარ ზოლიტიკურ ზღაპრით... აიღეთ თუნდ ილიოდორე. უბრალო, ყოველ მხრეათ უცნობი. ამავე დროს, როგორია მისი გავლენა, როგორია მისი ძალა!“

ეფისკოპოსი გერმოგენი. ის არავის აზარაშს არ უწევს





და მოქმედებს ისე, როგორც მას სურს. ამასთან, წერილი ექება ბევრ სასულიერო პირებს, რომლებიც წინეთ სრულიად უცნობნი იყვნენ და დღეს კი ქვეყნის „გამკებლობაში“ დიდ როლს თამაშობენ.

„რასპუტინი — ვკითხულობთ წერილში — არ წარმოადგენს შემთხვევით მოვლენას. თუ ჩვენ მოვიგონებთ ეკლესიის ისტორიას, დავინახავთ, რომ ამ მოხუცს ყუადენ წინაპირები, და მას აქვს ისტორიული კავშირი ზოგიერთ სექტებთან, რომლებიც არსებობდნენ ოდესღაც პირველ ქრისტიანებს შორის...“ უკველ შემთხვევაში, რასპუტინის მოძღვრება არ არის შემთხვევითი, მას საფუძველი აქვს საზოგადოების იმ ნაწილში, სადაც იგი განვითარდა და იმყოფა თანამოაზრენი.

**დამახასიათებელი მოვლენა.**

5 ივნისს გენ. დუმბაძემ იალტაში დაიბარა გაზ. „რუს. რივიერას“ და „იალტ. ვესტნი.“ რედაქტორები და ადგილობრივი ცენტრები. დუმბაძემ აუხსნა მათ, რომ ისინი დაბრუნებული არიან გურგუფის მღვდლის ზავადოვსკის სახიერის გამო. სახიერა კი იმაში მდგომარეობს, რომ „რუს. რივ.“ მოთავსებულ იგლა-ს სახუმარო ფელეტონში მოყვანილია სახარების სიტყვები, რაც ზავადოვსკის აზრით, დვთის გმობა არის. ამის გამო ზავადოვსკიმ გაზ. „რუს. რივში“ წერილი მოათავსა, რაც იალტის გაზეთებში არ გადაბეჭდეს. „იალტ. ვესტნი.“ დანაშაულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მან მიტროპოლიტის წირვის შესახებ თავის გაზეთში ცნობა არ მოათავსა, მღვდელი ასხელებდა კიდევ რადიკეებს, რომლებიც ვითომ ამტკიცებენ აღნიშნული გაზეთების მახე მიმართულებას.

ცოტადენი ახსნა-განმარტების შემდეგ დუმბაძე ეუბნება „რუს. რივ.“ რედაქტორს:

- მე ვიცი, რომ იგლა-ეს ლ. არის.
- იგლა კოლექტიური ფსევდონიმა, თქვენა მად. კეთ-შობილება. ამ ფსევდონიმიტ მარტო ლ. არ სწერს.
- ამ შემთხვევაში, შეიძლება, თქვენც მიიღეთ მონაწილეობა იმ ფელეტონში? — ეკითხება დუმბაძე.
- მე არაფერს არ ვსწერ, — განაცხადა რედაქტორმა.
- თქვენთან სულ ურთიება სწერენ...
- რედაქციაში არც ერთი ურთა არ არის...
- მე უკვე გეუბნებოდით თქვენ, ბატონებო, რომ სწერეთ მხოლოდ სიმართლე, სწერეთ ჩემზეც, მე ძალიან მადლობელი დავიქნებით. სწერეთ, რომ გენ. დუმბაძე იღებს ქრთამებს. თავისნა გცემთ, თუ ეს მართალი იქნება. თქვენ კი გირჩევთ (მიმართა მეორე რედაქტორს) გააგდეთ თქვენი გამომცემელი ურთა. გარეკეთ ურთები! ამასთან, წინადადებას გაძლევეთ ორივეს, შემდეგ ნომერში გადაბეჭდეთ მამა ზავადოვსკის წერილი და თან შენახიება გამოსთქვით. წინადადება შემთხვევაში მე დაგაჯარიმებ თქვენ, ან და სულ დავხურავ „რუს. რივიერას“-ს. თქვენ კი, აბაევა (ცენტრის მოვალეობის აღმასრულებელია), გაბრძნებ, რომ უკეთესათ იკითხე გაზეთები.
- მეორე დღეს ორივე გაზეთებში გადაბეჭდილი იყო მღვდლის წერილი და თან კომენტარები იყო მოთავსებული, რომ იგლა-ს ფელეტონი შეცდომით დაიბეჭდა, რომ იგლა ქრისტიანია და სხ.

**ჩემი ყვაილი.**

ნუ, ნუ მაწვდით მაგ ნაზ ყვაილს, სურნელოვანს, სათუთს და ჩჩვილს, არ მსურს! . ჩემთვის არს უფარგი, — მას არ უმღერს ჩემი ჩანგი. სხვის ბაღნარში რაც იშლება, მე ის აღარ მენატრება. აზრს არ ვხედავ მის ყნოსვაში, ვერც სიტკბოსა ვპოვებ მასში. ის ხომ ჩემთვის არ გაშლილა, არც უნახავს ჩემი დილი? მაშ, რას ვაქნევ მე მის სურნელს, რათ შევახებ ხელს ნაზ ფურცელს!?

არა, არა!.. ჩემ მაგიერათ მიუძღვენით ბედნიერებს, ეამება იმათ მგოსანს, სანეტარო ჰიმნს უმღერებს. და ან ეინმე განცხრომის ძე შესთავაზებს ლამაზ სატრფოს; დე, ის დასტკებს მის სურნელით, შვების წუთი მოისწრაფოს. მე კი... მე კი, სწორე გითხრათ, მის აღერსი არ მაქვს ფიქრათ; სხვა ვარდს ვეტრფი და სხვა ყვაილს, — ნორჩსა კოკორს, ჯერაც არ შლილს.

ჰო, კვლავ იმ ერთს, ამ გულის ღმერთს ვუმღერ, ვუმღერ დლით და ღამით და არ ძალ-მიძს, მასვე ვფიცავ, დავივიწყო ერთი წამით. თუმც შორსაა, ჯერ ვერ ვხედავ ქაჯეთისკენ გადაკარგულს, მაგრამ მაინც მის სიყვარულს. საუკუნოთ გულში დარგულს, ვერ ამომგლეჯს ვერა ძალი, ვერც თვით ღმერთი, ვერც მტარვალი. რა გგონიათ?.. იმ ყვაილში თვით სამოთხე იხატება; მასზე ვფიქრობ ცხადათ, ძილში და მხოლოდ ის მენატრება.

თუნდ ამქუხრდეს ჯოჯოხეთი, დამიბნელდეს მალლით მზეცა, გადმემტეროს ზენაარსი, მებს მტყორცნიდეს რისხვით ზეცა, — არ გადავსდვამ ბიჯსაც უკან, ვით უსისხლო მხდალ-ლაჩარო; დაე, მოვკვდე, მოვკვდე მისთვის, დე, მიმღერონ გლოვის ზარი,

ვერ შემაკრთობს აწ გოლოგოთა,  
ვერც წამების მიძიმე ჯვარი!!!

ნუ, ნუ მაწვდით მაშ, მაგ ყვაილს,  
სჯობს უძღვენიტ ბედნიერებს!  
ეამება იმათ მგოსანს,  
სანეტარო ჰიმნს უმღერებს.  
მე აღარ გთხოვთ... არ მსურს, არა,  
გავუყადრო იმას თავი...  
მის სატრფო მომკვდავია,—  
ჩემი სატრფო კი—უკვდავი!

ნ. ჩხიკვაძე.

### დ ე ვ ნ ი ლ ი .\*)

ის თავისუფალი და ლალი მთის შვილი იყო. პირ-  
დაპირი და ამაყი,—გაბედული და ჭირში გამტანი. რის-  
თვის მოსწყვიტეს სამშობლო არეს და ამ ველურ მხარე-  
ში გადმოკარგეს, არვინ იცოდა. მას არ უყვარდა თავის  
თავზე ბევრის ლაპარაკი. შემთხვევით კი ისეთ ალაგას  
ჩამოვარდა, რომ გარეშემო ვერ ხედავდა ისეთ ადამიანს,  
რომლისთვისაც გულის ნადები გაეზიარებინა—ფიქრები  
გაენდო. მაგრამ მისი ღია პირის სახე. ხან უსახლვრო გულ-  
უბრყვილობითა და ნდობით სავსე, ხან კი ცეცხლის  
მფრქვევ თვალეში ნათლათ მოსჩანდა, რომ მისი წარსუ-  
ლი სპეტაკი იყო, როგორც მისი აღმზრდელი მთების  
ჰაერი და ანკარა მოჩუხჩუხე წყაროები. და ამ სხვა-და-  
სხვა კუთხიდან, სხვა-და-სხვა ჯურისა, ზნეობის და შეხე-  
დულების ადამიანებში გაუსწორებელ დამნაშავეებიდან  
რწმენითა და იმედით სავსე მგოცნებებამდე ის განმარტო-  
ებით იღვა აღსავსე თავის ფიქრებითა და კაეშით.

მოქანცული თვალი ისვენებდა მის ახოვან და სიცოც-  
ხლით სავსე სახეზე. მოსეული გრძნობები ხშირათ გა-  
გლეჯდენ მის სიჩუმეს და ანთებულის თვალებით იგო-  
ნებდა მშობელ მთებს და რაღაც გამოცდილსა და გადა-  
ნატანს, რომელიც გარკვეულ სახეებად ვერ შეექმნა,  
დაწყობილ სიტყვებში ვერ გამოეხატა. მაგრამ ამ ნა-  
წყვეტ სურათებსა და აზრებში გამოცდილი თვალი ადვი-  
ლათ შეამჩნევდა, რომ ამ ბუნების ბავშვს თან დაქონდა  
რაღაც დიდი საიდუმლო, ჯერ გამოუცნობელი, მაგრამ  
გრძნეული გამოცანა, სავსე აურაცხელი ეჭვებითა და გაუ-  
მაგრებელი იმედებით; გულში ატარებდა დიად გრძნო-  
ბას ადამიანებისადმი ბუნების სიყვარულთან ერთათ. თავს  
ეგლებოდა, იფარავდა ამ გრძნობას ციმბირის ცივ სუს-  
ხსაგან და ბრბოს ბინძური ხელებისაგან, რომელიც აღტ-  
ყანებული ცხოველური გრძნობებით ლანძღვა-გინებითა  
და წყევით იგონებდა მას რაზედაც ერთ დროს ლოკუ-  
ლობდა, რასაც აღმერთებდა—მთელს თავის იმედებსა და

\*) ასეთ ამბავს, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, ადვი-  
ლი ქონდა პერმის გუბ. მხოლოდ სამწუხაროთ მსხვერპლის ნამ-  
დვილი ვინაობა ვერ გავიგე. ავტ.

სურვილებს მასზე ამყარებდა; დღეს კი დამატებით და  
უცხო მხარეში გამოძევებული ძველ ცოდვებს განიხილდა  
ფეხქვეშ თელავდა, ნაფურთხით აუწმინდურებდა! უსირ-  
ცხვილოთა ბილწავდა ამ თავის გუშინდელ კერპს. ამის  
შემყურე ილო თანდათან განზე დგებოდა, თითქოს მზა-  
თაა სამუდამოთ ჩამოშორდეს ამ მდგომარეობით მასავით  
დასჯილ და მოულოდნელ ტანჯვისაგან გამხეცებულ ადა-  
მიანებს, რომლებიც თავის დავთარ დაკარგულ ძებნაში  
მტყუანსა და მართალს ველარ არჩევდენ... მაგრამ სხვა  
წრე არ იყო, არჩევანი არ შეიძლებოდა და გზა მოკრი-  
ლი, ის უნებლიეთ ეწეოდა ამ უფერულ ცხოვრებას.

რაც დრო გადიოდა, ურთიერთობა მდგომარეობით  
მახლობლებთან თანდათან მწვავდებოდა, მტრობის სახეს  
ღებულობდა და ასეთ დროს მას იპყრობდა საშინელი  
ნაღველი და მთელი საათობით გაყურებდა თოვლით გა-  
ტკეპნილ გზას, თითქო რაღაცას მოეღისო. ძნელი იყო  
ამ პირობების ატანა—დარდი და მწუხარება თანდათან  
იზრდებოდა. სახლში მას სულს უხუთავდა ოთახის მი-  
მე—ნარეცხებითა და ოფლით გაქვნილი—მუდამ გაუ-  
წმენდავ, შეხუთული ჰაერი, გარეთ კი გაყინული ატმო-  
სფერა სუნთქვას უჭერდა—არ ყოფნიდა მთელის მკერდით  
ამოსასუნთქათ. იგი სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნი-  
ლი მცხოვრებთა მტრული და იქვიანი მოპყრობით, ამხანა-  
გების ლაზღანდარულ საქციელით და ლოთობა-გარყენი-  
ლებით სავსე ცხოვრებით. არ იყო ადამიანი, რომლის-  
თვისაც ფიქრები გაეზიარებინა, იმედიანი სიტყვა გაეგო-  
ნა; იცოდა, რომ საღდაც მის გვერდზე ტუნდრაში ცხოვ-  
რობდა რამდენიმე კაცი, რომლებსაც სიტყვით მაინც შე-  
ეძლოთ გამხნეება, მაგრამ მათი ენა არ იცოდა და არც  
მათ ესმოდათ ამისი. ასე განმარტოებულათ იღვა ის და  
მოუსვენრობა თანდათან ძალუმათ იპყრობდა და მხრებ  
შეკრულ არწივივით ბორგავდა; თვალ-წინ სულ ხშირათ  
უდგებოდა სამშობლოს ნისლით შებურვილი მთები მო-  
ჩუხჩუხე წყაროებითა, სწორ-მეგობრები და შორეულ მო-  
გონებათა წყალობით ის მზათ იყო ყველაფერი აეტანა,  
ოღონდ თავი კვლავ მათ-შორის ეხილა.

როცა ციმბირის ყომრალი ღამე ფრთებს გაშლიდა  
და ყინულის სუღარაში გახვევდა არეს, ქარს სახურავზე  
ან სარკილებთან ააკენესებდა და მღუმარე „ტუნდრას“  
ააოხრებდა,—შორს მინდვრებიდან მოიტანდა მშვიერ მგლის  
ყმუილს ან გულის ამძვრელ ჩივილს ჩიგენარებიდან,—  
ის ნაღველ-მორეული ყურს უგდებდა ბუნების ამ შესა-  
ბრალის ჩივილს და სევდა მოცული ფიქრობდა თავის  
მშობელ მხარეზე.

ის უჩვევი იყო ბუნების ასეთ ხმებს...  
როცა ქარიშხალი ამოვარდებოდა და მთის ქოჩორ-  
ზე მეზი დაჰკრავდა, მთელი სამყარო თითქმის ომის ქარ-  
ცეცხლში ებმებოდა. ნისლით შებურვილი მთები თით-  
ქოს ნიშანს უცდიდენ, რომ საფუძვლებიდან დაძრული-  
ყვენ და შთაენთქათ არე. ასეთ დროს ისინი არ ჩივო-  
დენ, არამედ ყრუთ დრტვინავდენ და მათ ბანს აძლევდა  
მდინარეების მწყრალი ღრიალი და ტყის ზუზუნნი: მო-



ხიბლული ბუნების ჯანყით, გატაცებული მისი გრძნეული მეომარი გადახილებით, ის გამორბოდა სახურავიდან, შხაპუნა წვიმას უშვერდა გაშლილ მკერდს და გაბრწყინებული სახით გაპკივოდა რაღაც ნაწყვეტ ხმებს, რომლებშიაც იხატებოდა უსახლვრო სიყვარული და თანაგრძობა, — ალტაცება თავდავიწყებამდე. ახლა კი ის ნაღვლიანათ უგდებდა ყურს საყვარელ ტყის კენესას და მინდვრების ჩივლს, თითქოს ეს მწუხარე ხმები მის გულიდან გამოდის რაღაც უხილავი ძალის შეხებით, — უსიტყვოთ მისჩგრებოდა ერთ წერტილს ან თაროდან თავის გაკეთებულ ჩანგურს ჩამოიღებდა, ნელა ჩამოჰკრავდა მუღერავ სიმებზე და მის მკენესარ ხმებზე აყოლებდა ძველს სიმღერას მთის სილადესა და თავისუფლებაზე, შევიწროვებასა და შავს ბედზე, რომელსაც გარედან ბანს აძლევდა ქარის ქვითინი. და ამ დამიანისა, საკრავისა და ბუნების ერთათ შერეულ ხმებში გამოკრთოდა სევდა წარსულ ნათელ დღეებზე და შემოდგომის ბნელსა და უამინდო ღამეზე, ნატვრა მომავალ გაზაფხულის და მფრთხალი იმედი; და ეს ხმები იმდენათ მომხიბვლელნი, გრძობიერი იყვენ, რომ იპყრობდნენ მაყურებელთ, რომლებიც ამ უცხო ხმებში რაღაც მშობლიურ, ნათესავურ გრძობებს ხედავდნენ. ხანში შესული დიასახლისი ოხვრით თავს იქნევდა, რაღაც ბუტბუტს იწყებდა და მალი-მალ-მიქონდა თვალებთან წინსაფარი. „ფეჩზე“ წამოწოლილი სახლის პატრონი აღარ იგინებოდა; მუდამ მოხითხითე და დაუდგრომელი გრუნია წყნარათ, იდაყვ დაყრდნობილი უჯდა მაგიდას და ფართეთ გახელილი თვალებით შეყურებდა მთიულის სევდიან სახეს, ყურს უგდებდა ჩანგურის ქვითინს, გული გაჩქარებით აუდი-დაუდიოდა და სჩანდა, რომ „ავაზაკ ჩერქეზზე“\*) შეხედულება თანდათან ეცვლებოდა და რაღაც უცხო ფიქრი და ეჭვები გულში ეპარებოდა.


სოფელი, რომელშიც ილო სცხოვრობდა, რამოდენიმე ასა ვერსით იყო დაშორებული საგუბერნიო ქალაქს, რომელზედაც რკინის გზა გადიოდა და სადაც, როგორც გადმოსახლებულები ამბობდნენ ხოლმე, იშლებოდა „მათი ხაზი“. გაქცევის მსურველისათვის ეს არაფერი იყო სივრცით, რომ ობობის ქსელივით ხაფანგები არ ყოფილიყო გაქსელილი: გაქცეულს ყოველ ფეხის გადადგმაზე, ყოველ მოსახვევში საფრთხე მოელოდა. გზის ნაპირზე გაქიმულიყო ციმბირის ტუნდრა ასწლოვან ხავსით შემოსილი ხეებით — საიდუმლო და გაუტანელი. დანიშნულ სოფლიდან გასვლა სასტიკათ აკრძალული იყო სასჯელის შიშით, ყოველნაირი ზომა იყო მიღებული, რომ არავინ გაქცეულიყო და გლახებს, რომლებსაც ყველაზე მეტი ხვდება ასეთი გაქცევის დროს, თვალი ფრთხილათ ეჭირათ. სოფლიდან სოფლამდე თითქოს ფარული ხელშეკრულობა იყო დადებული. მოგზაურობით მოქანცულ გაქცეულს არ იტაცებდა სახლები: გათიშული სხეული შიშითა თრთოდა ბოლის დანახ-

ვაზე და თითქოს წყეული სული გაურბის საღმრთო, სწინდელი გილსო, მიდიოდა ტუნდრის სიღრმეში, რომ ტყეში იმყოფებოდა ჩქარა და შორს მოველო ამ წყეულს ადგილებისთვის, სადაც მას არ ჰქონდა ბინა, სადაც ლუკმა პური წამწარდებოდა. ყრუ და უჩინარი, მაგრამ სასტიკი შური ბუდობდა მათ შორის შთამომავლობიდან შთამომავლობამდე და პიველ შემთხვევის დროს უწყალო შურს იძიებდა. კატორგიდან გამოქცეულ ავაზაკებსა და უთვისტომო მოხეტიალე ბრადიაგების შიშით თრთოდა არე მარე და მათგან დაშინებული მკვიდრნი მტყუანსა და მართალს აღარ არჩევდნენ — ყველას ერთნაირათ უმასპინძლებდნენ. თავლებული ცარცვა-გლეჯა და ცეცხლი ერთი მხრით, სიკვდილი მეორე მხრით — საშიშარს ხდიდა ამ არეს, არამც თუ გაქცეული, თავისუფლათ მიმავალთათვისაც. არა ერთი საშინელი ამბის მოწამენი იყვენ ეს ასწლოვანი ხეები, და საუბარი რომ შესძლებოდათ, თმას ყალყზე ააყენებდნენ თავიანთ საიდუმლოებებით. მაგრამ ეს უტყვი მოწამენი სდუმდნენ, ან როცა ცივი ქარი დაუჭროლებდა, გაუგებრათ კენსოდნენ, თითქოს უსახლკაროთა სამარეებს დასტირჩიანო.

ამნაირათ, გაქცევა პირველი შეხედვით შეუძლებელი იყო. თითქოს განგებ იყო შექმნილი ეს უკედლო, მაგრამ გაუვალი მხარე, — უდაბნო, საცა ათასობით მოჰყავდათ საარსებო ბრძოლის ქარცეცხლიდან გამოგლეჯილი მეომრები, რომ უკეთ ეგრძობინებიათ დამარცხების საშინელება.

მაგრამ იყვენ ბედნიერნი, რომლებიც პოულობდნენ გამოსავალს. გლახები სიამოვნებით აცილებდნენ რკინის გზამდე მას, ვისაც მათი არყით გამასპინძლოა და ცხენის კარგი ქირის მიცემა შეეძლო. ასეთ დროს წამყვანის როლს კისრულობდა ცალთვალა ფილკა, ერთი თავზე ხელ-აღებული კალპიკის მსგავსი გლახი, რომელზედაც სოფელში ცუდი ხმები დადიოდა, მაგრამ საზოგადოება ინახავდა, ვინაიდან შინ თავი „წმინდათ“ ეჭირა და მის წყალობათა სთვლიდნენ, რომ სოფელში არაფერი იკარგებოდა. ფილკასთვის გზა მუდამ გაწმენდილი იყო, ვინაიდან ყოველ სოფელში მას სანდო ამხანაგები ყავდა, საცა გაჭირვების დროს გაქცეული საიმედო ბინას პოულობდა. მაგრამ ვაი მათ, ვინც უშაბათთ გაქცევას გაბედავდა. პირველ ეჭვისთანავე მღვეარი შხათ იყო. სიციცხლე სათუო იყო დაჭერილისათვის, ვინაიდან ასეთი საქციელი მათ თვალში დიდ დანაშაულს შეადგენდა. „მათ ხელში ჩავარდნა“ უმჯობესია თავი შენივე ხელით მოისპოო“, გაიძახოდნენ ასეთ შემთხვევაზე. ყველაზე საშინელი ასეთ დროს ფილკა იყო. ის, თითქოს წინათ-მგრძობიაო, ყველაზე ადრე ტყობილობდა ასეთ ამბავს და მხათ იყო, თითქოს ცხენი შეკაზმული ყავდა და ნხოლოდ ნიშანს უცდიდაო. ბედნიერი იყო, ვინც მათ გაასწრებდა, — დაჭერილს გლახები სცემდნენ დაუზოგველათ, ფილკა კი უწყალოთ, რაღაც ნაირი არა-ადამიანური გატაცებით და თან აყოლებდა ბინძურათ მორთულ საგინებელ სიტყვებს, რომლებს მოწყობაშიაც ის ხელოვანი იყო. გლახები ამაზე იცინოდნენ. თავის ცალი

\*) ყველა კავკასიელს ციმბირელი გლახი ჩერქეზს უწოდებს, რომელიც, მისი აზრით, აუცილებლათ ავაზაკია. ავტ.



თვალის ჯავრს იყრისა“, რომელიც, თურმე სადღაც ტუნდრაში დაეკარგა ცხენის ქურდობისათვის და საკვირველი იყო, თავი როგორღა გადაირჩინა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ციმბირელი გლეხი შეუბრალებელია და სასწაულით თუ გადურჩება ქურდი მის ხელს.

ცოტანი იყვენ, რომლებსაც ასეთი ბეგარის გაღება შესძლებოდათ, კიდევ ცოტანი—რომლებსაც უზიანოთ გაეარათ ამ ქსელში და ამიტომ იყო, რომ ამ ადგილიდან გაქცევა სასწაულით ითვლებოდა, როგორც მიუვალ, საიმედოთ დაცულ ციხიდან. გზა ძნელი იყო ბუნებრივათავე. ვინ გაბედავს ამ მანძილის გადაქრას სუსხიან ზამთარში, როცა ყინვა შებურავს არეს თავის ხუნდებით, მთელ სამყაროს დაიმონავებს? აკვნესებს ცას, აკვნესებს მიწას და უსულო საგნებსაც კი ნამტკინარეგ ხმას აღებინებს? აქ ბუნება თითქოს მტრათ გახდომია ადამიანს, ყოველ მოსახვევში დარაჯობს, იზიდავს, იტყუილებს, რომ სასიკვდილოთ გულში ჩაიკრას და სიცოცხლეს გამოასაღოს. გაზაფხულზე, როცა მიდამო მწვანით შეიმოსება, ერიდე ტუნდრას; მის ყვავილებით მორთულ მდელოებსა და ბუმბულივით გაგებულ ხავსს! ქვეშ გაწოლილია მწოველი ლაფო, ას-წლოვან ხეებს ქვეშ ქარავნებათ დაზუზუნებენ კოლოები, ეს საშინელი დაუძინებელი მტერი ადამიანისა და ცხოველის.\*) ხეებსა და ღელის პირებში დალოდავს დათვი და იღუმლათ დაძვრება შარვალში დანა ვაკრული „ვარნაკი“\*\*). შორს, შორს ამ წყეულ ადგილებიდან თუ ქვეყნათ სიცოცხლე არ მოგძულებია!

გადიოდა თვეები, დღე დღეს მისდევდა, იმედი კი არსაიდან იყო. თითო-ორიოლა გადმოსახლებულები შემოიფანტენ, ზოგი გაანთავისუფლეს, ზოგიც სხვა სოფლებში გადასახლდა და მთელ სოფელში ერთილა ილო დარჩა. გაზაფხულდა, გლოვის ძაძა გადაფარებული დედამიწა გამოცოცხლდა—მდინარეები ახმაურდენ, მინდვრებში მუშაობა გაჩაღდა. აღდუნდა ტყე და მდელო, ქაობებიც ათასგვარ ფრინველებით გაავსო, რომლებშიაც გედების ზორისებური ყვილი ადამიანს რაღაც მომავლის გაურკვეველ იმედებს უნერგავდა და სიცოცხლეს უხალისებდა—თითქოს ცხოვრების მძიმე უღელს უმსუბუქებსო. მხოლოდ ილო იდგა განცალკევებით კაეშან გაზრდილი და მწუხარებით შეყურებდა ბუნების ამ მეჯლისს, გული უფრო მწარეთ უკვნესოდა, თითქო ამ ფერადმა სურათებმა, ამ სიმხიარულემ და სილაღემ ძველი შეხორცებული ქრილობები გაუშალეს და არა-ადამიანური ტკივილებით სულს უწუხებენო.

ის აქ მეტი იყო. ამ ოფლითა და ტალახით გაწუწულ გლეხებში, მუშაობაში თავფეხებიან გამბულ ადამიანებში ის თავს მეტათა გრძობდა. მას დისონანსი შექონდა ამ შრომის საერთო ჰაანში და გულს უკლავდა ასეთი ყოფა.

\*) არის ადგილები, საცა საცრის უპირსაფაროთ (сѣтка) ზაფხულობით სიარული შეუძლებელია, კალა ხშირათ აფუჭებს ადამიანს, და ცხოველს.  
\*\*) ქურდი-ავაზაკი.

— მუქთა ხორა!—ესმოდა მას ზურგს სუკან. — რა ენაღვლებათ? ცხოვრობენ ჩვენს ნაშრომ ფულებზე და ბატონებივით ცხვირი მაღლა მიაქვთ!!

— და როდემდის, რათ არ მოგვაშორებენ?—წყრებოდენ დედაკაცები, ქალიშვილები კი დაცინვით ფრუტუნობდენ.

მან სცადა მათთან დაახლოვება, მუშაობაში წახზარება, მაგრამ არა გამოვიდა-რა.

— სად ეჩრები!—მწყრალათ ეკითხებოდენ მას, თითქოს სხვის საკუთრებას ითვისებსო და იძულებული ხდებოდა განდევილივით განზე გასულიყო.

— რაღა დამრჩენია?—კითხულობდა ის.—მორჩილება!.. „დანებდი ბედს!“—ჩაჩურჩულებდა იღუმალი ხმა. და „სიკვდილი დასამერება სიცოცხლივ, დასცინოდა ვილაც უხილავი, შემდეგ კი მტკიცეთა და დაჯერებით ასწავლიდა იგივე ხმა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ მორჩენილა... „არის გზა, მხოლოდ გაბედეა უნდა“. — გადასქერი!“—ბრძანების კილოთი ათავებდა იგი.

გახურებული აზრი მუშაობდა; სული შფოთავდა—ბორგავდა, ეძებდა გამოსავალს, სახსნელ გზას. არ ყუჩდებოდა ახალგაზრდული ძაღლონე, სამხრეთის მდულარესავით მჩქეფარე და დაუდგრომელი ბუნება. სისხლი მოქმედებასა თხოულობდა, ბრძოლაში ნაწრთობი არსი უომრათ მორჩილებაზე უარს ამბობდა.

ნაშუაღამევი იყო. სოფელს ეძინა, მოქუშულ ციდან წვიმა სცრავდა და ნიავი ხანგამოშვებით სეველიანათ აშრიალებდა ტყეს, როცა ის ფრთხილათ გასცდა სოფელს და ტყეში გატკეპნილ გზის პირას ბილიკს დაადგა. გული ძალზე უცემდა და ფეხები უგრძობლათ გამალებით მიაქანებდენ. რაღაც ტკბილ, გამოუცნობელ განწყობილებასა გრძობდა, ტანში ოდნავ შესამჩნევი ჟრუანტელი უვლიდა, ხან კი ერთბაშათ შემკრთალი ფრთხილათ უგდებდა ყურს, თითქო საფრთხე მოელანდაო და ექვიანათ გაჰყურებდა შარა გზის მხარეს.

ბუნებაში თანდადან მყუდროება დამყარდა: წვიმა შეწყდა; ნიავც ჩასდგა და მხოლოდ ფოთლიდან მოწყვეტილი წვიმის წვეთი და სადღაც შორს ტბორებში იხვის თიხთიხი არღვევდა მთვარისაგან ვერცხლისფრათ განათებულ ბუნების საიდუმლო მყუდროებას. და ამ ხანგამოშვებითი წვეთის ცემას და მისდამი იხვის ღალღში იხატებოდა რიღაცნაირი გამაფრთხილებელი ხმები, გახსენება მოსალოდნელი განსაცდელისა, რაც გულს ძალზე აძგერებდა და სმენას სიმხთაღემდე ამახვილებდა.

ბევრი დრო გავიდა, რაც ის სოფელს გაშორდა. მღვერის შიში იმდენი აღარ იყო, ის კი ძველებურათ მიდიოდა—მირბოდა. ვერც ლაფოები, უძილობა და ქანცი აჩნევდა დაღს ამ გიჟურ სირბილს, თითქო რაღაც მიძინებულმა, ამდენხანს შეუმჩნეველმა არსებამ გაიდვიძა და ფრთებ-შესხმული მიაქანებსო.

სადღაც შორიდან ძაღლის ყეფა მოესმა. ეტყობა, სოფელს უახლოვდებოდა რომელიც უთუოთ იღვიძებდა. და მან ტყის სიღრმეში გასწია, რომ გვერდი აექცია სოფ-



ლის თვალისათვის. მთელი საათი მიდიოდა განზე და მდებარეობის სიუდაბნოე უმტკიცებდა, რომ ის დიდ მანძილზე დაშორდა ადამიანთა ძეთ, რომლებსაც ის მხეცზე მეტათ გაუბოდა... მაგრამ ის მოლოდინელათ შესდგა... ხუთიოდ, ჩამქრალ კერას შემომსხდაჩი კაცი, რომლების შორიდან დანახვა შეუძლებელი იყო, ეჭვით ათვალისებრ და ახლათ მოსულს. გონება დაბნეული, სხეულ მოდუნებული, თითქოს ძარღვები ერთბაშათ დაეშალა და აღარ მოქმედებენო, მისჩერებოდა ის ადამიანთა ჯგუფს, რომელიც დიდი ხანია მისდა შეუმჩნეველათ თვალს ადევნებდა მას.

— ახლოს მოიწი ძია-ჯან — გაეხმაურა ერთი მათგანი ილოს.

— „ნუ გეშინია, ჩვენც შენები ვართ“ — ღიმილით დაუმატა ახალგაზდამ ჯგუფიდან. დამშვიდებული ილო მიუახლოვდა მათ. მან ცოტა გაიგო ნათქვამიდან, მაგრამ მიხვდა რომ საქმე გლეხებთან არ ქონდა. გამოფხაზლებული ნელა მიუახლოვდა მათ და ნაჩვენებ ალაგზე ჩამოჯდა...

მზე კარგათ ამოეფინა და ღამით დაცვარული ხის ფოთლები და ბალახი მხიარულათ ააბჟყვრიალა. ნასაუზმევი ილია ახალგაზდა ბრადიანის გვერდით წამოწოლილი ყურს უგდებდა მის ერთხმოვან მელანქოლიურ ღიღინს. მოხუცი რალაცას ალაგებდა თავის აბჯანში, დანარჩენი სამი კი თვალზე დახუჭული იწვენ და ძნელი გამოსაცნობი იყო, ეძინათ თუ ფხიზლობდნენ. ილოს ღამის დაღლილობა ახლა გამოაჩნდა, ფეხები დაუმძიმდა, თითქო ზედ თუჯის გირები დაჰკიდესო; თვალები მიეღულა, რალაცანი რვეალ ზოლიანი ნისლიანი ბინდი გადაეფარა და თვალებს წებვადანაწყებინა. ზმორებით იწელებოდა ბუმბულივით რბილ მოლზე და ცდილობდა არ დაეძინა, მაგრამ თან გრძნობდა, რომ ეს შეუძლებელია და სრულებით მოდუნებული და უნებო თანდათან შეუმჩნეველათ ძილს ეძლეოდა. კიდევ ცოტა... და უეცრათ თითქო თვალეში ეღვა ჩაუვარდა, თავზე ცა ჩამოეგრა. ის კვნესით შეეცადა წამოჯდომას, მაგრამ ვერ შესძლო და გასროლილივით მიწვა ლურჯ მდელოზე, რომელიც წითელი სისხლით შეიღება.

— ეს რა ჰქენი?... — დაუყვირა ახალგაზდამ მოხუცს, რომელმაც გაპობრლ თავიდან ურო ააძრო და მზათ იყო მას ყელში სწდომოდა, მაგრამ როცა დანარჩენ ამხანაგების მოქმუხვნილი სახე დაინახა, რომლებიც მიწაზე ილოს სწრაფათ ანთავისუფლებდნენ ტანსაცმელისაგან, ბურღლუნით განზე გადგა...

ვალიკო.

### მუშათა ცხოვრება.

**თფილისის რკ. გზ. დეპო.** თფილისის დეპოს აქვს სამკითხველო, რომელშიც შეუძლია ჩაეწეროს წევრათ და ისარგებლოს ყველა მოსამსახურემ, განურჩევლათ პროფესიისა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, მრავალი ამას ყუ-

რადლებას არ აქცევს და ტყულა-უბრალოთ ხეტიალსა და ლაყბობას ამჯობინებს ჟურნალ-გაზეთების და წიგნების კითხვას. ამ გარემოებას ერთი მხრით ისიც უწყობს ხელს, რომ სამკითხველოში ქართული წიგნები თითქმის სრულებით არ მოიპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თათო-ოროლა უშინაარსო წიგნაკებს. თვალითაც ვერ ნახავთ ნინოშვილის, ყაზბეგის და სხვა ასეთ გამოჩენილ მწერლების ნაწერებს, რომელთაც კითხულობენ მუშებო. მოიპოვება რუსული წიგნები, მაგრამ რა ქნას იმ მუშამ, რომელსაც ენის უცოდინარობის გამო არ შეუძლია რუსული წიგნებიო სარგებლობა?

თვიური გადასახადი წევრთათვის განაწილებულია ჯამაგირებზე, ვინ რამდენს აკეთებს და ამის მიხედვით იხდიან. მუშა-ხელოსნები, რომლებიც ისურვებენ წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობას, გაღიხიან თვეში 15 კაბ. ჟურნალ-გაზეთები არის გამოწერილი, როგორც სატახტო, ისე ადგილობრივიც, თუმცა სამკითხველოს გამგეობა ამ მხრითაც კოჭლობს: არ მოდის კვირეული გამოცემები. წინადადებასაც ამის შესახებ ყურადღებას არ აქცევენ. მაგრამ გამგეობის ნაკლი მარტო ამაში არ მდგომარეობს. როგორც ამბობენ, სამკითხველოს მთელი ბიუჯეტი გაფლანგული და დარიკებული ყოფილა სესხის სახით სხვა და სხვა პირებზე. ანგარიშების დანახვა წევრებისათვის მიუწდომელი არის; არ იციან, თუ რამდენი იხარჯება: წიგნებზე, ჟურნალ-გაზეთებზე, რამდენია შემოსავალ-გასავალი, წევრთა რაოდენობა და სხვა. როდესაც გამგეობის წევრები მიდიან რაიმე წიგნის საყიდლათ, ფაიტანში წიგნის ღირებულებაზე მეტს ხარჯავენ. ან და, შემოდის სამკითხველოში რომელიმე „უიღებული“ პირი, იღებს ახალ გაზეთს, ხევე შუაზე და მიაქვს... სხვებს ნახევარი გაზეთების წალება უხდებათ. ყველა ამ სისამაგლეზე გამგეობა ხმას არ იღებს. ამ გარემოებას მიყვარათ იმ დასკვნამდე, რომ გავრცელებული ხვეები ფულის „ჩაიმასქნის“ შესახებ არ უნდა იყოს ქორი... ყოველ შემთხვევაში, ვნახოთ რას იტყვის გამგეობა.

შეერთებული.

P. S. ჩემმა შენიშენამ მემანქანეთა შესახებ, რომელიც მოთაკსებული იყო „მოგზაური“-ს მეოთხე № ში, დიდი ლაპარაკი გამოიწვია მათში, ვისაც ეს ეხებოდა. ზოგიერთები ეთანხმებოდნენ წერილის ავტორს, ხოლო უმრავლესობა მასხარათ იგდებდა საერთოთ ჟურნალ გაზეთობას და კერძოთ იმ წერილს. მაგრამ მაინც „ამტკიცებდნენ“, რომ ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები არ არის სწორი. მე ხელ-ახლა კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ ყველაფერი, რაც მე მქონდა აღნიშნული იმ წერილში, სრული სიმართლეა და ვისაც ეჭვი შეაქვს მათში, ინებოს და სცადოს გაბათილება.

შეერთ.



# ეკონომიური ცხოვრების განვითარება.

## IX

როგორც ყველა ძველი (ანტიკური) ხალხები, რომელებიც აგრარიულ ქვეყანას ეკუთნოდნენ. მაუხედავთ იმისა, რომ იქ ვაჭრობა-მრეწველობა, მიმოსვლის საშუალებანი უმაღლესათ განვითარდნენ, მაინც რომაელების ეკონომიური ცხოვრების საფუძველს სასოფლო სამეურნეო წარმოება შეადგენდა. ამასთან წვრალი საგლეხო წარმოება ჩვეულებრივი, გავრცელებული მოვლენა იყო, წვრილი მიწათ-მფლობელობა, დაქუცმაცებული ეკონომიური წარმოებების უმრავლესობას შეადგენდა: მალე რომის ეკონომიურ ცხოვრების განვითარებამ ნიადაგი გამოაცალა გლეხის იდილიურ ცხოვრებას. რომაელების სასოფლო საგლეხო წარმოებაში ჩვეულებრივ ხორბლეულობის წარმოება იყო გაბატონებული. რომის გლეხობა თავანთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებით კვებავდა, არამც თუ მთავარ, სატახტო ქალაქის რომის მცხოვრებთ და სოფლათ მდგომ ჯარებს, ერთ ნაწილ წარმოებისას, ხორბლეულობას გარეთაც გზავნიდა: უცხო ქვეყნებში გაქონდათ. იმ დროს მთელი საბერძნეთი თითქმის რომაელი გლეხების სამეურნეო ნაწარმოებით იკვებებოდა. მაგრამ გარემოება მალე შეიცვალა: რომაელებმა დაიპყრეს სიცილია და სარდინია, აქედან იწყეს ხორბლეულობის რომში შემოტანა, რომლითაც იკვებებოდა მარტო რომის მცხოვრებნი კი არა, არამედ მეომრებიც კი. ამ გარემოებამ კი დიდი კონკურენცია გამოიწვია ხორბლეულობის ბაზარში. სიცილიისა და სარდინიის იაფ-ფასიანმა სამეურნეო ნაწარმოებმა სრულიათ დასცა რომის გლეხების სამეურნეო ნაწარმოების ფასები, უკანასკნელმა მოვლენამ კი დიდი შემათერხებელი გავლენა იქონია რომის ინტენსიურ სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებაზე. დღემდის თუ რომის გლეხობა აკმაყოფილებდა მცხოვრებთა მოთხოვნილებას, ვიმეორებთ, ახლა ეს მოვალეობა პროვინციების, სიცილიის და სარდინიის მცხოვრებთა ხვდათ, ესენი უგზავნიდნენ მთელ რომს საჭირო სანოვაგებს. ასე რომ, რომის გლეხობას სრულიად დაეკარგა თავისი პირველ-ყოფილი სასოფლო სამეურნეო მწარმოებლის მნიშვნელობა, თანდა-თან სრულიად ისპობოდა მისი სამეურნეო წარმოება. წვრილი ვაჭრობა და წვრილი სახელოსნო-წარმოება მძიმე-მძიმეთ იხრწნებოდა, ხალხი ღარიბდებოდა და ღატაკდებოდა. ამისთვის სახელმწიფოს თითონ უნდა ეზრუნა, მთელ რომის მცხოვრებთათვის საჭირო პური მიეწვდინა. მას უნდოდა, რაც შეიძლებოდა ხალხისთვის იაფათ ხორბლეულობა ეშოვა. ამ შემთხვევაში რომის სახელმწიფოს დიდ სამახურს უწევდა ახალი პროვინციები: სიცილია და სარდინია, საიდანაც აუარებელი ხორბლეულობა შემოქონდათ, ამასთან ძალიან დაკლებულ ფასებში. ამ გარემოებამ, როგორც ვამბობდით, დიდი კრიზისი გამოიწვია რომის სასოფლო მეურნეობაში. რომის სახელმწიფოს გლეხი, შედარებით პროვინციის მწარმოებელთან მეტი მოთხოვ-

ნილებისა იყო, მაშასადამე მისი მთელი საწარმოო ხარჯები მეტათ უნდა ეანგარიშნა, ხორბლეულობა მეტს ფასში უნდა გაეყადა. მაგრამ გარცდან შემოტანილმა ხორბლეულობამ დიდი კონკურენცია გაუყეთა, რომის გლეხთა სამეურნეო ნაწარმოების ფასები დასცა და მთამთელი წარმოება უხერხულ და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. დახოლოს ეს კრიზისი იქამდე მივიდა, რომ მთელი გლეხობა დაღუპვის კარებამდე მიიყვანა და სასოფლო სამეურნეო კულტურა სრულიად ახალ პირობებში ჩადგა, სასოფლო სამეურნეო წარმოებამ ახალი გზები გამოძებნა.

ახლა რომის გლეხობისთვის ხორბლეულობის წარმოება, როგორც დავინახეთ, შეუძლებელი გახდა, ვინაიდან, სიცილიიდან და სარდინიიდან იაფი ხორბალი შემოიტანეს და მათთვის ხელ-საყრელი აღარ იყო მძიმე პირობებში პური მოეყვანათ. ამათაც ხორბლეულობის მოყვანას თავი დაანებეს და უფრო მაღალ სასოფლო სამეურნეო კულტურაზე გადავიდნენ, ხორბლეულობის წარმოება ღვინის, ზეთის და შინაურ ცხოველების ინტენსიურ მოშენებაზე შესცვალეს. მხოლოდ ამ წარმოების დარგების საშუალებით შეეძლოთ უცხო ქვეყნის კონკურენცია აეტანათ და რაციონალური წარმოების წესით მოგება ენახათ. ამას ზედ დაერთო სასოფლო სამეურნეო ინდუსტრიის განვითარება, როგორც არას მგ. მეკრამიტობა-მეაგურობა, მენახშირობა, მეკირობა, მიქურჭლობა, ქვიშა და ქვის წარმოება და სხვ... ასეთ პირობებში კი მთელმა სასოფლო სამეურნეო წარმოებამ რადიკალური ცვლილება განიცადა: მხოლოდ წვრილი მესაკუთრეები და აწარმოებდნენ თავიანთ მამულებს, დიდი მემამულეები სტოვებდნენ სოფლებს, ქალაქებში სახლდებოდნენ და სხვას აბარებდნენ თავიანთ მამულებს. ზოგიერთები მთელს მამულს, ან და ნაჭერ-ნაჭერ იჯარით აძლევდნენ და საჭირო ფულს ართმევდნენ. ამ გზით წარმოიშვა ლატიფუნდიური მიწათ-მფლობელობა. აი, ამის შესახებ, რას ვკითხულობთ ძველ რომაელების ნაწერებში: როცა რომაელებმა იტალიის ერთი ნაწილი დაიმორჩილეს, იმათ დამორჩილებულების ადგილებიდან ერთი ნაწილი თვითონ მიისაკუთრეს და მათ ქალაქებში ასახლებდნენ. დასამუშავებელ მამულებს დამორჩილებულ ქვეყნებისას ანაწილებდნენ, ან ყიდდნენ და ან არა და იჯარით აძლევდნენ კოლონისტებს. დაუმუშევარ მამულებს, რომლებიც ერთობ დიდ მანძილზე იყო გადაქიმული, აძლევდნენ იმათ, ვინც მოისურვებდა მათ დამუშავებას, უკანასკნელი თავის მხრივ წლის მოსავლიდან ერთ ნაწილს აძლევდნენ, იყო ეს ნაწილი მეთათედი ხორბლისა თუ მესხუფედი ძირის მოსავლისა. თვით ისინიც, რომლებიც დიდ დასამუშავებელ მამულებს საძოვრად ღებულობდნენ, პატრონებს იჯარას ნატურით—საქონლით უხდიდნენ. რომის დიდი მამულის პატრონები ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ მათ უნდოდათ ამ გზით იტალიის მცხოვრებთა ხელოვნურათ გამრავლება, უნდოდათ გაემრავლებინათ სწორეთ ხალხის ის ნაწილი, რომელიც მამულის დამცველ სალდათებს, ჯარს იძლეოდა. მაგრამ საქმე სულ



მათ სურვილის წინააღმდეგ დატრიალდა. მდიდრები დიდ ნაწილს საჯარო მამულებისას თითონ იღებდნენ, იმ იმედით, რომ დიდი ხნის მფლობელობის შემდეგ, მათ უფლება მიეცემოდათ: მამული უკანვე აღარ წართმეოდათ. ყიდულობდნენ ან და ძალით ართმევდნენ მეზობლათ მცხოვრებ წვრილ მემამულეებს თავიანთ სახნავ-სათესს და თითონ ამუშავებდნენ, რასაკვირველია, თუ კი მამულისთვის საჭირო მუშა ხელს, მონებს იშოვიდნენ, რომლებსაც მოჯამაგირის და მეძროხის როლი უნდა შეესრულებინათ. ამის გამო, შეძლებულები თანდა-თან მდიდრდებოდნენ, სოფლათ მონათა რიცხვი საშინლათ იზრდებოდა, მაშინ როცა ნამდვილი იტალიელები ზედ-მეტ სიღარიბისაგან, უზომო გადასახადებისგან და უცადო სამხედრო სამსახურისგან მიწასთან სწორდებოდნენ, რიცხვით კლებულობდნენ. თავისუფალი, უქონელი, გაპროლეტარებულები წვრილი მემამულეები უფრო ცუდ მდგომარეობაში ცვივდებოდნენ, ვიდრე ნამდვილი მონები. პარკელებს სრულიად არ ქონდა საშუალება, რომ ამა თუ იმ წარმოების დარგში ემუშავნათ, სრულიათ მუქათა დახეტილებდნენ, ვინაიდან დიდი მემამულეები, ვისაც კი დასამუშავებელი მამულები ქონდათ, მონებს ამუშავებდნენ, რომლებიც უფრო იაფნი და შრომის ამტანნი იყვნენ. საწარმოვო კაპიტალი, რომელიც შრომას ხელ-ფასზე იყიდინდა, არ არსებობდა, არ არსებობდა თვით მრეწველობა, აქა იქ მოიპოვებოდა დამყარებული საოჯახო ხელოსნობა. თვით ხელოსნებიც, როგორც ძველი ლიტერატურული ნაშთები გადმოგვცემენ, მონები იყვნენ და არა თავისუფალი ხელოსნები, როგორც ეს ზოგიერთი ისტორიკოსებს გონიათ. მონა ხელოსნები მონებიდან ღებულობდნენ დასამუშავებელ მასალას და იმას ამუშავებდნენ ბატონის სასარგებლოთ. ასე რომ, მონების ხელში იყო არა მარტო სასოფლო სახეურნეო წარმოება, არამედ მთელი ინდუსტრიაც. მთა-მანდის წარმოება, ყველა ფაბრიკები და დიდი საწარმოვო ცენტრები მონების საშუალებით მუშაობდნენ. დიდ კაპიტალს ქონდა, რასაკვირველია, ეკონომიური უპირატესობა წვრილ ხელოსნურ წარმოების წინაშე და უკანასკნელს სპობდა კიდევც. პრაქტულ მონების მყოფე დიდმა მემამულემ, რომელსაც უნდოდა ცოცხალი კაპიტალი ფასად ექცივნა, მალე დაინახა ასეთი ხელსაყრელი პირობები, საცა მას შეეძლო მონებით ხელოსნური წარმოება დაეწყო, სახელოსნოები გაეხსნა და შიგ მონები ემუშავებინა. ის ამა თუ იმ ქალაქში მათ საკუთარ სახელოსნოებს უხსნიდა, ამუშავებდა მონებს და ესენიც განსაზღვრულ კაპიტალის სარგებელს აძლევდნენ ბატონს. ან და თავისუფალ მონას აძლევდა საწარმოვო კაპიტალს, მონებიც მიდიოდნენ ქალაქებში, ხსნიდნენ აქ სახელოსნოებს, ამუშავებდნენ მასალას და წარმოების შემოსავლის ერთ ნაწილს ბატონს აძლევდნენ. ამ გვარათ თავისუფალ ხელოსნურ წარმოებას ყოველგვარი გზები და საშუალებები მოჭრილი ქონდა, როგორც ქალაქებში, ისე სოფლათ. მთელი ინდუსტრიული საწარმოვო დარგები სოფლათ და ქალაქებშიაც უმცირესობის, თითო-ორიოლა მდიდრების ხელში იყო მოგროვილი. წვრი-

ლი წარმოება ვაი-ვაგლახით ბოგანობდა. მართალია წვრილი წარმოება ქალაქებში თითქმის გაბატონებული წარმოების ფორმა იყო, მათი რიცხვი ერთობ იზრდებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანული სახე იყო. ნამდვილათ კი თითვეული წვრილი წარმოება მოკლებულია დამოუკიდებლობას. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ მთელი წვრილი წარმოებები დამოკიდებული იყო მსხვილ წარმოებისგან; წვრილი წარმოება მსხვილ წარმოების ფილიალებად ითვლებოდა. ამ ნიადაგზე იყო დამყარებული, სხვა წარმოების დარგები, როგორც არის მაგ. ვაჭრობა და მიმოსვლის საშუალებანი. მთელი ეს წარმოებები მონების ხელით სწარმოებდა, მონები უდგენ სათავეში, მთელი წარმოება მონებით კიდევ დიდ მემამულეებს ეკუთვნოდა.

ასეთმა ეკონომიურმა ურთიერთობამ კი წარმოშობა ის აუცილებელი სოციალური მოვლენა, რომ მთელ რომის იმპერიაში მხოლოდ და მხოლოდ ორი კონტრაქტული კლასი არსებობდა: შეძლებული და შეუძლებელი. პროფესორი ბიუხერი ასწერს რა ძველი რომის ისტორიას, გვეუბნება: იქ არ იყო საშუალო კლასი, საშუალო წოდება, არ იყო გლეხობა, არ იყვნენ ხელოსნები. იყვენ მხოლოდ მსხვილი და წვრილი მესაკუთრენი, მდიდრები და ღარიბები. მდიდრები აძევებდნენ ღარიბებს თავიანთ მამულებიდან, ისაკუთრებდნენ მათ მამულედელს და ამ გზით აპროლეტარებდნენ მცხოვრებთა დიდ ნაწილს და მთელ ამოდენა, თვალ-გადაუწვდენელ მამულებს მონების საშუალებით, მონების ხელით აკეთებდნენ.

როგორც მოკლე განხილვიდან დავინახეთ მონათა ინსტიტუტი რომის ეკონომიური ცხოვრების გული იყო, ამათზე იყო აშენებული მთელი მათი ნივთიერი ბედნიერება, ამათ ხელში იყო ვაჭრობა-მრეწველობა, სასოფლო სახეურნეო წარმოება, თითქმის სწავლა-განათლებაც კი. ასე რომ, რომის მონობის ინსტიტუტს დიდი ღვაწლი მიუძღვის რომის აღორძინება-განვითარებაში. მთელი ეს ინსტიტუტი შეეფერებოდა იმ დროის წარმოების ურთიერთობას, შეეფერებოდა საწარმოვო მეტოდს, საწარმოვო ტექნიკას. წარმოება არ მოითხოვდა ინტელიგენტურ სამუშაო ძალებს, არ საჭიროებდა, რომ მაწარმოებელი მონა თუ მუშა თვითონ დაინტერესებული ყოფილიყო წარმოების ნაყოფით, წარმოების სარგებლიანობით. მაგრამ ჟამთა-ვითარებამ ეს საჭიროება წინ წამოაყენა და მთლათ ძირი გამოუთხარა მონურ წარმოების წესს. ახლა აუცილებელათ საჭირო შეიქნა, რომ მაწარმოებელი, მომუშავე დაინტერესებული ყოფილიყო თავის შრომის ნაყოფში, წარმოების ნაყოფიერებაში, მაწარმოებლის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ, ეს კი შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მონათა ინსტიტუტი, უფრო შეღავათიან, უფრო თავისუფალ მუშათა ინსტიტუტზე შეიცვლებოდა, რომელსაც ბატონ-ყმობას ეძახიან. რა ინსტიტუტი იყო ეს ჩვენ მიერ დასახელებული ბატონ-ყმობა, ამაზე შემდეგ წერილში ვილაპარაკებთ.

შვანცი.



# სოციალიზმი და ანარქიზმი.

## XIX

სოციალისტები თანამედროვე სინამდვილეშია ცხოვრობენ ისეთ მოვლენებს, რომელიც გვარწმუნებენ, რომ დღესაც ყოველგან, ცხოვრების ყოველ დარგში ხდება სასურველი ცვლილება, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება მიდის სოციალისტურ იდეალის განხორციელებისაკენ. ამ განვითარების იმედით ისინი დღევანდელ მომენტში უმთავრეს ყურადღებას აქცევენ პროლეტარიატის გაცნობიერების გაღრმავებას და მისი ერთ პარტიათ შეკავშირებას; ეს პარტია უნდა ისწრაფოდეს პოლიტიკური უფლებების ხელში ჩაგდებას იმ მიზნით, რომ ისარგებლოს ცხოვრების განვითარების მიღრევილებით თავისი კლასობრივი ინტერესების თანახმად. ამასთანავე სოციალისტები მტკიცეთ არიან დარწმუნებული, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები სავსებით ეთანხმება საზოგადოთ კულტურის ინტერესებს; სწამთ, რომ ამ ინტერესების პირდაპირ დაკმაყოფილებას შედეგათ მოყვება კლასიური ფილანთროპიის და კლასიური ბატონობის მოსპობა, აგრეთვე იმ მიზნითა მოსპობა; რომელიც იწვევს საზოგადოებაში კლასთა წარმოშობას.

თავის მოღვაწეობაში სოციალისტები მხოლოდ ლოგინობის ხელის შეწყობას ხედავენ, რომელიც უწველის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე მომწიფებულ ახალ წყობილების წარმოშობას; უკანასკნელმა უნდა დაიჭიროს ისტორიულ განვითარების პროცესში ძველი; დროს გადასული წესწყობილების ადგილი და თუ ასეთ მოღვაწეობაში ხანდისხან მომწიფებული ნაყოფის გადასარჩენათ საქირო შეიქნება მწვავე ოპერაციის მოხდენა, სოციალისტები არც მის შესრულებას შეუშინდებიან.

## XX

ამრიგად სოციალისტების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, თითქო მათ სურდეთ თანამედროვე წესწყობილების ძალათ შეცვლა, არ ეთანხმება სინამდვილეს. ანარქისტების შესახებ კი ასეთი ბრალდება უფრო ხშირათ სრულიად სამართლიანია და არც თვით ანარქისტები უარყოფენ მას.

ანარქისტების ტაქტიკური მოქმედება სავსებით ეთანხმება მათ თეორიებს. ანარქისტები, როგორც ვიცით, ფიქრობენ რომ ისტორია სულ შემცდარი გზით მიმდინარეობს და საქიროა ამ გზიდან მისი გადაყვანა; და რადგან ამასთანავე, მათი აზრით, საზოგადოებრივი იდეალის განხორციელება შესაძლებელია ყოველ წამში მიუხედავად დროისა და ადგილისა, ამიტომ იმათ შესაძლებლათ მიანიათ მისი ეხლავე განხორციელება, მხოლოდ საქიროა იმ დაბრკოლებათა მოსპობა, რომელიც წინ ეღობება ამ საქმეს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, საქიროა თანამედროვე წესწყობილების დანგრევა და მის ნანგრევებზე მაშინვე აშენდება ადამიანის ბუნების შესაფერი წესწყობილება. ამის გამო ყველა მიმდინარეობის მიმდევარი ანარქისტები, იშვიათ გამონაკლათ გარდა, ქადაგობენ არსებულ წესწყობილების ძალით დანგრევას. ამ მხრით ანარქისტებში არავითარი განსხვავება არ არის. არის განსხვავება მხოლოდ იმ ძალდატანებით საშუალებათა ხასიათის შესახებ, რომელიც უნდა იხმაროს კაცმა ანარქისტული იდეალის გასახორციელებლათ.

იმ დროს, როცა ანარქიზმის საუკეთესო თეორეტიკოსები, როგორც არიან **ბაკუნინი, კროპოტკინი, ელიზე რეკლიუ** და სხვ. საზოგადოთ უარყოფენ კერძო პირთა მიმართ ძალადობის ხმარებას, თუმცა უფრო მორალური მოსაზრებით, არის მთელი რიგი ანარქისტულ

მიმართულებათა, რომელიც—წინააღმდეგ სოციალისტებისა, ებრძვიან არსებულ სისტემას და არა კერძო პირებს—ქადაგობენ ყველა იმათი სრულ განადგურებას, ვისი ინტერესიც დაკავშირებულია არსებულ წესწყობილებასთან. ამ პირთა გადაყენება (ისტორიულ ასპარეზიდან) შეიძლება ყოველგვარი საშუალებით, რადგან ეს პირები შეადგენენ ერთადერთ დაბრკოლებას კაცთა-შორის ანარქისტული წესწყობილების შემოღებასათვის. თავიანთი აზრებსა გასავრცელებლათ ანარქისტები მიმართვენ ხოლმე ვერეთ.წოდებულ „მოქმედებით ჰროპაგანდას“. სენსაციური მკვლევლობით მათ უნდათ საზოგადოების ყურადღება მიექციონ თავიანთ სწავლას და იმედი აქვთ რომ ამით გამარჯვდებიან თავიანთ მიმდევრების რიცხვს.

ამ საშუალების გარდა ზოგიერთი ანარქისტები ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დანაშაულობის ჩადენასაც მიმართავენ და ცდილობენ ასეთი მოქმედების სხვა-და-სხვა მოსაზრებით გამარჯობას. იმ საბუთით, რომ ადამიანი პიროვნება ყოველთვის და ყოველგან მხოლოდ თავისი ბუნებრივი თავისუფლების განხორციელებაზე უნდა ზრუნავდესო, უკანასკნელ; მიმდინარეობის ანარქისტები მოუწოდებენ ადამიანს ყველა არსებულ სამოქალაქო დაწესებულებათა წინააღმდეგ საბრძოლველათ. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დღესვე გაახორციელოს თავისი უფლება; რომელიც მას თვით ბუნებასაგან აქვს მინიჭებული; იზრუნოს მხოლოდ თავისი კეთილყოფიერებაზე; როგორც ამას თხოულობს ბუნების მიერ მაშინ ჩანერგილი ეგოიზმი, და ეხლავე დაიუფლოს ყოველივე; რაც საქიროთ მიჩნიათ თავისი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ქურდობა, ძალადობა შეძლებულ პირთა მიმართ ანარქისტებში არ ითვლება სასიოცხვოთ, რადგან ყოველი ადამიანი თავისუფალია თავის მოქმედებაში და არ არის ვალდებული პასუხი აგოს ვისიმე წინაშე.

## XIX

ჩვენი საქმე შესრულებულია. ჩვენ ვცდილობდით რაც შეიძლება მაუდგომლათ, უკრიტიკოთ, დაგვეხატა და დაგვესურათებია ორვე სწავლა, გვეჩვენებია თანამედროვე ანარქიზმისა და სოციალიზმის ხასიათი და ასე, მათ უპირატესობა-ნაკლებობა-ნებათა ხაზგაუსმელათ, გაგვეტარებია მათ-შორის ჰარაღეული. გვეონია, რომ ამ რა მცნებათა მისწრაფებათა და მიზანთა პირდაპირ წინააღმდეგობამ აშკარათ იჩინა თავი. მაშ რომელი მათგანი უფრო ეთანხმება თავისუფლებისათვის მებრძოლ პროლეტარიატის ინტერესებს? ამაზე დიდი ხანია გასცა პასუხი თვით პროლეტარიატმა. იქ სადაც კლასიურმა შეგნებამ უკვე მოიკიდა ფეხი პროლეტარიატში, სადაც პროლეტარიატი გამსქვალულია რწმენით, რომ დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილებაა მის კლასობრივ მისწრაფებათა განხორციელების დამაბრკოლებელი, საცა სამოქმედო ასპარეზზე გამადის პოლიტიკური პარტია, რომელსაც მიზნათ დაუსახავს პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების დაცვა და ადამიანის მიერ ადამიანის გაყვლეფის მოსპობა—იქ ანარქისტულ თეორიას და პრაქტიკას უფრო და უფრო ეცლება ნიადაგი.

პოლიტიკური მოუმზადებლობა ხალხისა, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული თვითნებობა, კერძო პიროვნებისა და საზოგადოებრივი ინიციატივის დახწობა ხელს უწყობს ანარქიზმის გავრცელებას.

პროლეტარიატის ორგანიზაცია, პოლიტიკური თავისუფლება, საზოგადოებრივი თვითგამორკვევა კი ხელს უწყობს სოციალიზმის გავრცელებას და ნიადაგს უმზადებს მის საბოლოო გამარჯვებას.